140
1982 №6

ISSN 0130-5078

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჯიორჯოკრი

6
1982

მოსკოვში, წითელ მოედანზე გაიმართა ვ. ი. ლენინის სახელობის კომუნისტური ორგანიზაციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ნორჩ ლენინელთა პარადი.

ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერულ ორგანიზაციას

ძვირფასო ნორჩო ლენინელებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მხურვალედ და გულითადად გილოცავთ თქვენ, თქვენს ხელმძღვანელებს, მასწავლებლებსა და მშობლებს დიდ, სასიხარულო დღესასწაულს — ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 60 წლისთავს.

პირველი პიონერული რაზმებიდან მრავალმილიონიან საბჭოშო კომუნისტურ ორგანიზაციამდე — აი, შესანიშნავი გზა, რომელიც პარტიისა და თავისი მებრძოლი წინამძღოლის — ლენინური კომკავშირის ხელმძღვანელობით განვლო საბჭოეთის პიონერიამ. პიონერული ორგანიზაციის მატიანე ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს სახელოვანი ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილია. საბჭოთა ადამიანების მრავალმა თაობამ პიონერულ კოლექტივებში ძიიღო იდეური წრთობის, კოლექტივიზმისა და ამხანაგობის პირველი გაკვეთილები, სამუდამოდ შემორჩა კეთილი მოგონებანი თავისი პიონერული რაზმის შესახებ! ჩვენი პარტია დიდად აფასებს პიონერული ორგანიზაციის მუშაობას მოსწავლეთათვის შრომისმოყვარეობის, სწავლაში სიბეჯითის, უფროს თაობათა ტრადიციების ერთგულების მხურვალე მისწრაფების ჩანერგვისათვის. გვახარებს, რომ გვეზრდება მაძიებელი, ცნობისმოყვარე, ხალისიანი, სოციალისტური სამშობლოს მხურვალედ მოყვარული ნორჩი ცალა.

პარტია და საბჭოთა ხალხი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თქვენ, ძვირფასო ბავშვებო, ცხოვრობდეთ მშვიდობიანი ცის ქვეშ, რათა თქვენი ბავშობა ბედნიერი და სასიხარულო იყოს. ამ კეთილშობილურ მიზნებს ემსახურება ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახული გეგმები. ქვეყანაში ყოველწლიურად შენდება ასობით ახალი სკოლა, პიონერთა სასახლე, ჯანმრთელობის კერა და პიონერული ბანაკი. დაფასეთ და დაიცავით ყველაფერი, რასაც თქვენ გაძლევთ საბჭოთა სახელმწიფო, გაიზარდეთ შრომისმოყვარენი, ქვეყნის საზრიანი და ყაირათიანი ბატონ-პატრონები. ამისათვის ემზადეთ სკოლის მერხიდანვე, ტექნიკურ წრეში, საცდელ მინდორში, აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობაში.

წელს ჩვენი ქვეყნის ხალხები აღნიშნავენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავს. განამტკიცეთ ყველა მომქმე რესპუბლიკის თანატოლთა მეგობრობა, იყავით პატრიოტი-ინტერნაციონალისტები.

პიონერული ორგანიზაციის მთავარი ამოცანა ის არის, რომ ეხმარებოდეს პარტიას, კომკავშირს, სკოლას კომუნისტური იდეალებისათვის შეგნებულ მებრძოლთა აღზრდაში, — ბავშვებს ზრდიდეს დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითით.

პიონერული წლები მაღალი მოქალაქეობრივი თვისებების ჩამოყალიბების შესანიშნავი ხანაა. რაზმებისა და რაზმეულების ცხოვრება უნდა შეავსოთ ნამდვილი რომანტიკით, სასარგებლო საქმეებით, მხეცრული და შრომითი შემართების გმირებთან მტკიცე მეგობრობით. დაე, თითოეული რაზმის თანამგზავრი იყოს წარიალა სიმღერები, საინტერესო ლაშქრობები და თამაშობანი, სპორტული ასპარეზობანი.

ნორჩო პიონერებო! თქვენ ლენინური კომკავშირის ცვლა ხართ! პირნათლად, მაღლა და ღირსეულად აფარეთ წითელი პიონერული დროშები! იყავით მოდამზადად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად!

ლ. ი. ბრეჟნევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ვაშენებთ ჩვენი ოცნების ქალაქს ●

ი. ორჯონიკიძე,
საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

პიონერული ქალაქის აშენების იდეა მწვრალ ნოდარ დუმბაძეს ეკუთვნის, პროექტი კი ქართველმა არქიტექტორებმა შეიმუშავეს, ქალაქი გაიშლება მდინარე ვერეს ხეობაში.

რისი ნახვა შეგვეძლება ბავშვობის ამ ქვეყანაში? ქალაქში შეიქმნება უზარმაზარი წყალსაცავი ნამდვილი წყალქვეშა მუზეუმით, სადაც მხოლოდ კაპიტან ნემოს გემის „ნაუტილუსის“ მსგავსი ხომალდით შეიძლება მოხვდე. საბაგირო გზა მოგცემთ საშუალებას, იმოგზაუროთ ინტერესების მიხედვით მოწყობილ ბაღებში, საგამოფენო დარბაზებსა თუ შემოქმედებით სტუდიებში. „მზიურის“ ცენტრამდე — თავისუფალ დროის ქალაქამდე მიგიყვანთ აერობუსი, თუ არ დაგეზარებათ, ფეხითაც შეგიძლიათ გადაჭრათ ხეობაში ჩაფენილი ყვავილების ქალაქი. „მზიურში“ სულ პატარებსაც აქვთ თავიანთი ქალაქი — საკუთარი ზოოპარკითა და იახტ-კლუბით.

საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობამ მეთერთმეტე ხუთწლედი ბავშვებთან გაძლიერებული მუშაობის ხუთწლედად გამოაცხადა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ მუდამ თვლიდა ბავშვებთან მუშაობას თავის უპირველეს ამოცანად. კომკავშირის ყრილობის ეს გადაწყვეტილებაც ლოგიკური გაგრძელებაა ამ მიმართებით რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიზნიანი, თანამიმდევრული საქმიანობისა.

რესპუბლიკის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში ამას წინათ ვნახე ერთი ექსპონატი, ქუთაისელი მოსწავლეების ხელით შექმნილი — შეეხები ბორბალს და დრო მოიხელეთ თითქოს: რამდენნიმე წუთში შეგიძლია თვალი გადაავლო იმ გზას, ქუთაისის მრეწველობამ რომ გახვლო ორმოცდაათი წლის მანძილზე — ხელით შრომიდან — მძლავრი ავტომობილებისა და ტრაქტორების შექმნამდე.

თუ ასეთი ბორბლის ერთ კუთხეში ჩვენს ზღაპრულ ქალაქს „მზიურსაც“ ეპოქა. გავიხსენოთ თუნდაც გუდაუთის რაიონში, სოფელ ლიხნში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პირველი რაზმის ორგანიზატორი გიორგი ალექსანდრეს ძე ძიძარია, ამჟამად პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ავთანდილ ღოღობერიძე — ეზოს ფიზბურთელთა პირველი გუნდის კაპიტანი, შემდეგში — ქართული საფეხბურთო

პიონერული და კომკავშირული მოძრაობის ვეტერანთა რესაუბრიული საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჟვანია ნორჩ ლენინელებს ულოცავს საბელოგან დღესასწაულს.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ ფიზიკურ კულტურა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ჯიოგანჯრი

6 ივნისი 1982

1926 წლიდან

ორშაბათობით

ალბანეთი 2 ლეკ

მოვათავსებთ, ვინ მოთვლის, რამდენ სურათს წარმოგვისახავს ბორბალთან ერთი შეხებაც: პირველი რაზმები, რომლებიც იბრძოდნენ ბავშვთა მეთვალყურეობისა და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ, სარდაფებში მოწყობილი პირველი კლუბები, სატანკო ჯოლონა, რომელიც ომის პერიოდის ბავშვებმა თავიანთი შრომით გამომუშავებული თანხით ააგეს. თითოეული მაგალი საშობლოს უმაღლესი ჯილდოებით აღინიშნა. ბევრი ისტორიის გახსენება შეიძლებოდა და თითოეული — ეს თეძსკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი; ნათელა ჩელებაძე — ჩაის კრეფაში მიღწეული წარმატებებისათვის ჯერ კიდევ პიონერულ ასაკში რომ გახდა სოციალისტური შრომის გმირი და ახლა ჩაის ფაბრიკას ხელმძღვანეობს. ასე რომ, ჩვენი პიონერული ქალაქის წინასწორია ეს არის ერთმანეთთან დაკავშირებული მრავალი ისტორიის ისტორია.

ის ბორბალი კი იმიტომ მოვიგონე, რომ უფრო ადვილად მოსახელებელი ყოფილიყო დროის ის ძაფი, რომელიც აკავშირებს სარდაფებში მოწყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის 3. ი. ლენინის სახელობის მეოდანზე მეფინავე რაზმების და რაზმეულების საკალაკო შეკრების საზეიმო ხაზის გახსნა 19 მაისს.

ადგილის პირველ ძველქართული ჯიშები. ასეა, თუ კარგი მეურნე ხარ, არაფერი უნდა დაკარგო ძველ-პაპის ნაომითი მემკვიდრეობიდან.

შტაბში საქართველოს ყველა კუთხიდან მოდის ცნობები: „სასკოლო ნაკვეთზე გავაშენეთ ციტრუსების პლანტაცია: 2.000 ძირი ლიმონი და მანდარინი. ვიღებთ ვალდებულებას, ციტრუსების ნერგებით მოვამარაგოთ რაიონის ყველა სკოლა. — ხობის რაიონის ახალსოფლის სკოლის რაზმეული". „25 ჰექტარზე ვაშენებთ ვაშლის ბაღს, უკვე დავრგეთ 200 ძირი. — ცაგერის რაიონის სოფელ ჩხუთელის სკოლის რაზმეული".

შტაბის ერთ-ერთ სხდომაზე შემოგვთავაზეს — ქალაქ „მზიურის" შესასვლელში აღმართოთ სტელა და ზედ ამოვკვეთოთ ქალაქის საუკეთესო მშენებელთა სახელები. ეს წინადადება ყველას მოეწონა, მაგრამ გაჩნდა ერთი დამბრკოლებელი მიზეზიც. თუ ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბარას პიონერებს დავასახელებთ, რომლებმაც თავიანთ სასკოლო ნაკვეთზე მათ მხარეში გავრცელებული ყველა სამკურნალო მცენარე დათესეს, განა შეიძლება, არაბოგდანოვკის სკოლის პაპელა ძორძოვის სახელობის რაზმეულის გასულ სეზონში ქალაქ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელავში მეგობრებმა ერეკლე მეორის სასახლე დაათვალიერეს.

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ

ხიდი ქეჩრ ეროვა ფორის

განანა გელაშვილი

ახმეტისა და გეორგიევსკის რაიონების მეგობრობას ამ ექვსი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი. მაშინვე დაიდო მეგობრული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებაც, რომელმაც ასე ამრავლა ამ ორი დაძმობილებული რაიონის მშრომელთა მიღწევა-წარმატებანი, ამრავლა პირველ რიგში ალბათ იმიტომ, რომ თავიდანვე ურთიერთდახმარებისა და თანადგომის, საუკეთესო გამოცდილების შესწავლა-გაზიარების სახე უფრო მიიღო, ვიდრე უბრალო შრომითი მეტოქეობისა.

1976 წლიდან მოყოლებული, ახმეტელი და გეორგიევსკელი მშრომელები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს, ეცნობიან ერთმანეთის საქმიანობას, ეხმარებიან ერთმანეთს სიახლის დანერგვაში, ამა თუ იმ შედარებით ჩამორჩენილი უბნის წამოწევაში. ამასობაში ახმეტაში გეორგიევსკის ქუჩა გაჩნდა, გეორგიევსკში კი — ახმეტისა. დღეს გეორგიევსკის კულტურისა და დასვენების პარკში საამოდ შრიალებენ ახმეტელთა ხელით დარგული ხეები, იხარეს და ღრმა ფესვი გაიდგეს რუს მეგობართა მიერ ჩაყრილმა ხეებმა ჯარისკაცის სახლის ეზოში და ახმეტის კულტურისა და დასვენების პარკში. პირველი მოსავალი მოიწიეს ახმეტური რქაწითელის ზვრებში გეორგიევსკის რაიონის მაისის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა, ახმეტელთა მეცხოველეობის ფერმებში გეორგიევსკიდან ჩამოყვანილი ველის წითელი ჯიშის ძროხები გაჩნდა, ყოველ ზაფხულს მასპინძლობს ახმეტის პიონერთა ბანაკი გეორგიევსკელ ნორჩებს, ასევე ყოველ ზაფხულს ისვენებენ გეორგიევსკის რაიონში ახმეტელი პიონერები...

და აი, ახლახან მეგობრობის ამ ღონიერ მდინარეს კიდევ ერთი პატარა ნაკადული შეუერთდა — დამეგობრდნენ ახმეტის რაიონის სოფელ ქრისტაურის რაფიელ ერისთავის სახელობის და გეორგიევსკის რაიონის სოფელ ნიენი ზოლსკის საშუალო სკოლები.

კაცმა რომ თქვას, არც მანამდე აკლდათ ქრისტაურელ პიონერებს მეგობრები, წერილიც ბევრი მოსდიოდათ საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხიდან — რუსეთიდან, უკრაინიდან, ლატვიიდან, ბაბიდან. მაგრამ შარშანდლიდან ქრისტაურელთა მეგობრების რიცხვმა ლამის ერთიორად იმრავლა, შესაბამისად იმრავლა წერილების რაოდენობამაც. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ გასულ ზაფხულს, როცა დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად გეორგიევსკის პიონერთა ბანაკ „ისკრაში" ახმეტის რაიონის პიონერთა მორიგი ნაკადი ისვენებდა, მათი თანმხლები პედაგოგი ლალი ყარალაშვილი გეორგიევსკის რაიონის სოფელ ნიენი ზოლსკის საშუალო სკოლის დირექ-



ალაპვერდის ტაძართან გაჩაღებული ეს სამახსოვრო ხეურათი - ფუძ/ სასიამოვნო ფუთს გაახსენებს სტუ. მარ-მასპინძელს.

ტორს მარია სტეპანოვას გაეცნო, და სწორედ მაშინ დაიბადა აზრი ორი სკოლის გაცნობა-დაახლოების შესახებ. ხოლო მერე, როცა ზაფხული მიიწურა და სასწავლო წელიც დაიწყო, ლალი მასწავლებელმა განხრახვა ჯერ კოლეგებს გაუზიარა, შემდეგ კი უკვე მთელმა სკოლამ შეიტყო მის შესახებ. გიმნაზია მიწერ-მოწერა, მას მოწვევა მოჰყვა და შემოდგომაზე, ოქტომბერში, ნიენიზოლსკელები სტუმრად ეწვივნენ ქისტაურელებს. ზეიმი ჰქონდათ სოფლის გოგო-ბიჭებს, სტუმრებზე კი ლამის ტაციაობა შეიქნა. წინდაწინვე ისე იყო გადაწყვეტილი, რომ იმ ორი-სამი დღით სტუმრებს ოჯახებში ჩამოარიგებდნენ. ასეც მოხდა — შინ წაიყვანეს მარინე ლეფსვერიძემ, დიანა ბარბაქაძემ, ქეთინო ავთანდილოვამ, ელმარ ალექსანაშვილმა, თამთა ბუზალაძემ და სხვებმა ჩამოსული ტოლები, მაგრამ მასპინძლობის მსურველი სტუმრებზე ორჯერ მეტი აღმოჩნდა და ძალაუნებურად ნახევარი ამათგანი გულდაწყვეტილი დარჩა. ჰოდა, აი, იმ ნახევარს ჯერაც ვერ განელებია წყენა, რატომ მე არ მარგუნეთ სტუმარიო. თუმცა, წყენას იმის ფიქრი ანელებს, რომ ნიენიზოლსკელები კიდევ ბევრჯერ ჩამოვლენ ქისტაურში.

მასპინძლებმა სტუმრებს, რა თქმა უნდა, ჯერ სკოლა დათვალიერებინეს, სკოლის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა გააცნეს, მერე თავიანთი გამოჩენილი თანასოფლელის — რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმიც ანახეს, ალაკერდიც აჩვენეს, თელავში დიდი წინაპრის, რუსეთისა და საქართველოს დაახლოების საფუძვლის ჩაყრის მოთავის ერეკლე მეფის სასახლეც საგულდაგულოდ დათვალიერებინეს. წინანდალშიც ჰყავდათ, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში.

მერე სკოლაში მეგობრობის საზეიმო სალამი გაიმართა. ქისტაურელები და ნიენიზოლსკელები თავ-თავიანთი სკოლების, პიონერული რაზმეულების ცხოვრებასა და საქმიანობაზე მოუთხრობდნენ ერთურთს, ერთმანეთს ცვლიდა ქართული და რუსული სიმღერები სამშობლოზე, ძმობაზე, მშვიდობაზე, ხელიხელჩაკიდებულნი უყოლიდნენ ქართულ „ფერხულს“ სტუმრები და მასპინძლები. მერე მასპინძლებმა იქვე სახელდახელოდ თათარა მოადუღეს დიდი ქვაბით და საუკეთესო ჩურჩხელა ამოვლებაზე გამოცხადებულ კონკურსში სტუმრებიც ჩართეს. ბრალი ვერავინ ვერ ეყოლა თითო ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიჭოლოდხევის საიდუმლოება

ილია ჩარუშა

მხატვარი თემურ ფხიკაძე

სათავგადასავლო მოთხრობა

— დედია, ამ ბიჭს კიდევ არ ძინავს? — შეიცხადა კაკანომ როცა, ჩვეულებისამებრ, მამლის პირველ ყივილზე ამდგარმა შვილის ოთახის ფანჯარაში სინათლე დაინახა. მაშინვე ოდის კიბეს აუყვა, აივანი ფეხაკრეფით გაიარა და კარი ფრთხილად შეაღო.

— ამას რას ვხედავ! — აღმოხდა გაოცებულს, როცა არეულ-დარეულ ოთახს თვალი მოავლო. მაგიდა, ფანჯრის რაფა, იატაკი გადაშლილი წიგნებით იყო მოფენილი. თვით ბიჭს დიდ რუკაზე მოერთხა ფეხი და მსხვილი ფერადი ფანქრით ზედ ხაზებს ავლებდა. დედის შემოსვლა არც კი გაუგია.

— ბაჭუა, შვილო, გათენდა, აქამდე რატომ არ დაწოლილხარ?!

— სამაგიეროდ, — დაღლილი, მაგრამ ბედნიერი თვალებით ამოხედა ბიჭმა, — საბოლოოდ დავიწმუნდი, რომ მეცნიერები არ ცდებიან: ეს ხალხი ნამდვილად კავკასიონის იქითა მხრიდან წამოსულა!

— რის ხალხი, რა ხალხი! — წამოიძახა შეშინებულმა დედამ და ლოყისკენ წაღებული ხელი ძლივს დაიმორჩილა.

— სწორედ ეგ არის დასაზუსტებელი — კიმერიელები თუ სკვითები! — ბაჭუა ფეხზე წამოდგა, ისე ლაპარაკობდა, თითქოს ტრიბუნაზე დგასო. — ცნობილია, რომ მათ თავიანთი ცხენებით გადაიარეს მცირე აზია, სირია-პალესტინა და ნილოსის დელტამდე მივიდნენ, შემდეგ კი უკვალოდ გაქრნენ ისტორიის სარბიელიდან... ჩვენ, ქალბატონო კაკანო, მიზნად დავისახეთ, გონების თვალით გავყვეთ ამ კვალს მიწის იმ ნაჭერზე, რომელსაც საქართველო ჰქვია.

— ფარსაგი რაღაცა მჭირს! გამაგებინე, რა ამბავია ჩემს თავს, შვილო! — ახლა კი მოიხოკა ლოყა კაკანომ. ეჭვი, მთელი ეს დღეები გამოუთქმელად რომ ტანჯავდა, თითქოს დასტურდებოდა: თბილისიდან დაბრუნების შემდეგ მისი შვილი რაღაც უცნაურად ლაპარაკობდა. — შენი ამბავი გამაგებინე, მაგრ სულ არ მაინტერესებს!

— კი, ბატონო! გიფიქრია თუ არა, დედაჩემო, რატომ ჩამოაცვამენ ხოლმე ქართველები ცხენის თავის ქალას სარზე, ჰიშკართან?

— ეზო-კარს მტრის თვალი რომ არ ეცეს! — დაუფიქრებლად მიუგო კაკანომ.

— აი, ამაშია საქმე! — პათეტიკურად შემართა ხელი ბაჭუამ. — მერედა, ვინ ესახებოდა ასეთ მტრად იმ უხსოვარ დროში ჩვენს წინაპარს? ცხადია, შორიდან მოსული დამპყრობელი! ვისი იყო ცხენი, რომლის თავის ქალაც იმ ჩვენმა წინაპარმა საკუთარი სახლის წინ სარზე ჩამოაცვა? ცხადია, მომხდურისა, რომელიც დაამარცხა! ამ ცხენის პატრონს ჰქონდა ტრამალების ველური ენერგია, მაგრამ არ გაიჩნდა ის, რითაც გამოიქედა ცივილიზაცია— მე ვგულისხმობ, ქალბატონო კაკანო, რკინასა და ფოლადს... ჩვენი წინაპრები კი მას უკვე ადნობდნენ იმ დროს და, სხვათა შორის, აქაც, სადაც ახლა ჩვენი სახლკარი დგას, სადაც ჩვენი სოფელი გაშლილა. ოდესმე თუ დაფიქრებულხართ, ქალბატონო კაკანო, რატომ ჰქვია ამ ადგილს თუბალთხევი?

— აბა რა ვიცი, შვილო! — ცოტათი გულს მოეფონა კაკანოს.

— იმიტომ, რომ ამ მიწაზე ოდესღაც ცხოვრობდნენ

ჯიბრების შედეგების დაჯამებისას, გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა აკადემიური მაჩვენებლებიც, მათი შრომითი საქმიანობაც, ბაზოგადოებრივი აქტიურობაც, შშობლიური სკოლის მოვლა-პატრონობაც; მაშინვე გამოვლინდება გამარჯვებულიც. მაგრამ ორივე სკოლის თითოეულმა მოწაფემ ახლავე იცის, რომ ამ შეჯიბრების მიზანი ერთ-ერთი მხარის გამარჯვება როდია, რომ იგი პირველ რიგში სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესებას, მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის სრულყოფას და უკვე ჩასახული მეგობრობის განმტკიცებას უწყობს ხელს. ალბათ ამიტომაც არის, რომ ასე მონდომებით მოჰკიდეს ხელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას ქისტაურელებმაც და ნიენიზოლსკელებმაც.

მომავალში ეს ხაფუძველნაყრილი მეგობრობა კიდევ უფრო მეტად განმტკიცდება, კიდევ არაერთხელ შეხვდებიან მეგობრები ერთმანეთს, არა ერთ და ორ გამარჯვებას მოიპოვებენ ნორჩი ქისტაურელები და ნიენიზოლსკელები სწავლასა და შრომაში, კიდევ მრავალჯერ მიუსლოცავენ ისინი ერთმანეთს წარმატებებს და არასდროს, არასდროს დაკარგავს მათთვის აზრს სიტყვები: „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!“..

ამირანის მემკვიდრე თუბალები. ღმერთების სამყოფელიდან მოტაცებული ცეცხლით მათ პირველებმა გაადნეს უცნაურად მოკრიალე მიწა და მისგან მიიღეს კაეზე მაგარი ნივთიერება, რომლისგანაც შემდეგ სახნისიც გამოქედეს და მახვილიც... ამ მახვილის ძალა იწვნია შორეული ტრამალებიდან ნიაღვარივით მოვარდნილმა მტერმაც... თუბალი თავისი მახვილით ჯერ მხედარს გაუსწორდა, შემდეგ კი მის ცხენსაც გაადგებინა თავი... თავისი ძლიერებით გულმოცემულმა, ის თავი საკუთარი სახლის წინ ჩამოაცალა სარს: დაე, ყველამ იცოდეს, ვინც ძალით მომვარდება, ასეთსავე ხვედრს ეწევაო...

— დედაია, სულ ქადაგად არ უქცევიათ ეს ბიჭი თბილისში?! — გაოცდა კაკანო.

— ჰოდა, მიზეზდა ცხენის იმედით თავგასულობა ბავშვებს არ დამედგომებაო, და უცნობი სივრცეებისკენ [illegible] ერიგალივით. ახლა მეტ ძალას გრძნობდა, რამეთუ ცხენები დაქედილი ჰყავდა, საომარი ეტლების თვლებს რკინის სალტეები შეშოავლო, თვითონ კი ხელთ ელვარე ხმალი ეპყრა... ერთადერთი, რაც ჩვენს მიწაზე თავისი ყოფნის მოსაგონებლად დატოვა, ცხენი და მისი კულტი... ისე, მე თუ მკითხავთ, ეს ლამაზი და ამაყი ცხოველი დიახაც იმსახურებს ასეთ პატივს. სხვათა შორის, ჩვენს დროშეც.

„ეაი ჩემს თავს!“ — გულში ბუტბუტებდა კაკანო.

— ალბათ ფიქრობ, ეს ჩემი ბიჭი რას ბოდავსო, — თითქოს მიუხვდა ბაჭუა, — მაგრამ უნდა გითხრა, რომ ჩემს მოსაზრებებს დიდი ინტერესით შეხვდნენ სასახლეში, მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციაზე. ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი, ცნობილი არქეოლოგი ცალეკ მესაუბრა და მირჩია, განაგრძე დაკვირვებები, ცხენის კულტს ჩვენში ნამდვილად ღრმა ისტორიული ფესვები აქვსო. წყაროებიც მომითითა. პირველად მისგან გავიგე, რომ ამ ასიოდე წლის წინათ სწორედ ჩვენს სოფელში, რომელიღაც სამარხში ცხენის ოქროს ქანდაკი აღმოუჩენიათ. — ბიჭმა უბის წიგნაკი გადაშალა. — პოლიხრომ ტაბუციძე თუ გაგიგონია? იქნებ იცნობ და მანახო კიდეც!

— პოლიხრომ ტაბუციძე ჩემმა მტერმა ნახა, შვილო! — ხელები გაასავსავა კაკანომ. — ას წელს იყო მიღწეული, ჩემს ბავშვობაში მიწას რომ მიაბარეს.

— საწყენია! — ჩაილაპარაკა ბაჭუამ. — იმ ადგილის დახუსტება, სადაც ცხენის ოქროს ქანდაკი აღმოჩნდა, ბევრ რამეზე გაგვცემდა პასუხს. მაგრამ არა უშავს, — ბაჭუამ ისევ გადაფურცლა უბის წიგნაკი. — ამფილოქე ერეტაძე თუ გაგიგონია?

— შვილო, შენ საიქიოდან სულების გამომძახებელი ხომ არ გგონივარ?! — ისევ დაფეთდა კაკანო.

— აბა, ოქროპირ ღვაბერიძე?

— ოქროპირ ღვაბერიძე... რომელი ოქროპირია ნეტა? — ჩაფიქრდა დედა. — ეგენი ბლომად არიან... მართლა! აგერა, ჩვენი გულის გამხარებელი მეზობელი რომ გვყავს ყურის ძირში — კარპეზა ღვაბერიძე, იმისი ბაბუა იყო ეგ ოქროპირი... კი მაგრამ, არ მეტყვი, რისთვის გაინტერესებს ეს ხალხი?!

— გაიგებ, სულ მალე გაიგებ, დედაჩემო... მოკლე ხანში ძალიან დიდი ამბები დატრიალდება თუბალთხევში. ჰიდრომშენებლები ხომ უკვე შეუდგნენ საქმეს, მალე არქეოლოგებიც გამოჩნდებიან. ის პროფესორიც უნდა ჩამოვიდეს, ჩემი თემით რომ დაინტერესდა. ძალიან საშური საქმეა... როგორც ამბობენ, ხეობის დიდი ნაწილი წყალსაცავის ქვეშ მოექცევა, ამიტომ ყველაფერი, რაც საუკუნეებს მიწაში ჩაუმარხავს, სამზეოზე უნდა გამოვიტანოთ... ამ საქმეში ჩვენც უნდა ჩავებათ, ისტორიის მასწავლებელმა უკვე შეგაკრიბა ნორჩი არქეოლოგები. ასე რომ, ამ ზაფხულს ბევრი საქმე გველოდება...

მამლების ომახიანი ყივილი სოფელს დილის დადგომას ამცნობდა.

ტოტებგაშლილი უზარმაზარი ცაცხვის ძირში ფარდაგზე წამოწოლილა კარპეზ ღვაბერიძე — ჭოკივით გრძელი, გამხდარი მოხუცი. მუთაქაზე თავმიდებული, მილულულ თვალებს უმაღ ახელს, როგორც კი მეზობლის ღობესთან მდგარ საადრო მსხლის ხეს ნაყოფი მოიწყდება. უმაღ რკინის კაუჭიან ჯოკს მოიმარჯვებს და... ჩაკ! მსხალი იქვე მის წინ დაგორდება. მოზრდილ გროვაში საკმაოდ ურევია ღობის იქიდან დათრეული მსხალიც. კარპეზ ღვაბერიძის სიძუნწე და წუწურაქობა მთელ ამ მხარეშია ცნობილი.

ოპერაცია „მსხალს" კარპეზი ფრთხილად ატარებს. დარწმუნებულია, რომ არავინ უყურებს. იგი ვერ ხედავს ისაშნის ბუჩქებს უკან სასეიროდ ჩაცუცქულ ბაჭუას. აი, კიდევ ჩამოვარდა მსხალი და კარპეზმაც არ დააყოვნა — მისმა ჯოხმა ღობიდან თავი გამოპყო, მაგრამ იმ წამს, მსხლისთვის რომ უნდა ჩაენისკარტებინა, ბაჭუას ხელმა დაასწრო. დარცხვენილმა კარპეზმა უმაღ ხელი უშვა ჯოხს და ღობეს ზურგი შეაქცია, თავი მოიმძინარა...

ბიჭი მსხლის კბენით მიადგა ალაკეს და მის აქ არყოფნაში კეთილმეზობლური ურთიერთობის გზაზე გახერილი ეკლის გამხმარი ტოტები ატაკაცუნა.

კარპეზმა ყური აქცია, ერთ ხანს ისევ თავი მოიმძინარა, მაგრამ შემდეგ წამოჯდა და თვალები მოიფშვნიტა.

— კაცს საკუთარ ეზოშიც ვერ მოგისვენია გემოზე... რომელი ხარ მანდ, ღობეს რომ ეჯაჯგურები?

— მე ვარ, ბაბუა კარპეზ!

— ბაჭუა არა ხარ შენე?! — ნაძალადევად გაიკვირვა კარპეზმა და წამოდგომა დააპირა, მაგრამ ბიჭმა არ დაანება:

— ნუ წუხდებით, კარპეზ ბაბუა.

— როდის ჩამოხვედი, შე კაცო, არ გამიგია... მობრძანდი აქეთ, ჩეროზე. ჩამოჯექი. ისე, ძაან დავაკაკაცებულხარ, მე და ჩემმა ღმერთმა, კაცობაში შეგიდგამს ფეხი.

— თქვენ თავად როგორ ბრძანდებით?

— ჩვენი ყოფნა რაღაა, — დაიჩივლა კარპეზმა. — დავბერდით, დაეჩაჩანაკედით. დაბრძანდი აგერ, ა, ფარდაგზე. პირი გაისველე.

ბაჭუა ჩამოჯდა.

— რავა მიდის შენი საქმეები? — ჰკითხა კარპეზმა. — რა ამბავი ჩამოიტანე თბილისიდან?

— საქმეებს რა უშავს! ოღონდ ეგაა, რომ ცოტა ძნელ დავალებას შევეჭიდე. თავი სულ წიგნებში მაქვს ჩარგული, პროფესორმა ისეთი ძნელი თემა მომცა.

— უკვე პროფესორებში ტრიალებ, ხომ? — ჩაიცინა მოხუცმა.

— თქვენთანაც მაქვს საქმე.

— ჩემთან? — მოხუცს ღიმილი სახეზე შეაცივდა.

— დიახ, — ბაჭუამ თავისი უბის წიგნაკი გადაფურცლა. — ჯერ ეს მიბრძანეთ, ოქროპირ ღვაბერიძე რა იყო თქვენი?

— რაში გაინტერესებთ, ყმაწვილო? — ხმა გაიმკაცრა კარპეზმა.

— ამას შემდეგ გაიგებთ. თუ შეიძლებოდეს, ჯერ ამ კითხვაზე მიპასუხეთ.

— რავა პროკურორივით მელაპარაკები, ბაჭუა? — არ შეეპუა კარპეზი. — ვინ იყო და ბაბუა იყო ჩემი, ცხონებული!

— კეთილი და პატიოსანი! — ბაჭუამ უბის წიგნაკს ჩაასო თვალი. — აქ ასეთი რამ წერია სიტყვასიტყვით...

— რაო, თუ გიყვარდე? — მართლა დაინტერესდა კარპეზი.

— „ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, ოქროპირ ღვაბერიძის ეზოში ძალიან ხშირად აღმოჩენილა ძველი ვირფასი ნივთები. კერძოდ, აქ უპოვიათ ბაჯაღლო ოქროს ერთგვარვანქიანი ქანდაკება ცხენზე ამხედრებული მეომრისა, რომელიც მაშინვე უკვალოდ გამქრალა..."

— ეგ ამბავი მეც... — კარპეზს სახის გამომეტყველება და კილო უცებ შეეცვალა, — პირველად მესმის, ღმერთმანი...

— მაშ, ამის მსგავსი არაფერი გსმენიათ? თუნდაც ბავშვობაში? — ჩაეძია ბიჭი.

— მოჩმახულია მაგ!.. რაღაც ხრიკს მიწყობს მამაშენი და გირჩევ, მაგ საქმეში არ გაერიო... ეყოს, რაც შერჩა!

— მე დოკუმენტებით ველაპარაკებით, ბაბუა კარპეზ... აი ეს წლის წინათ თბილისში გამოდიოდა გაზეთი „დროება". იქ წერია ეგ.

— ხიბანდერობთ რაღაცას მოწონელიძეები... ეს წელიწადს რკინა ვერ ძლებს, ქაღალდი კი არა!.. მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

— არა, მე ამ ნაბოვნის ამბავი მაინტერესებს. — არ მოეშვა ბაჭუა.

— მე რა შემიძლია, — ხელები გაასავსავა კარპეზმა. — ბაბუაჩემს ვერ გავაცოცხლებთ და მე კიდევ, ხომ გითხარი, არაფერი გამიგია მაგ საქმისა, იცოდე.

— შეუძლებელია, ცხონებულ ბაბუა ოქროპირს ამ ოქროს ქანდაკებასთან ერთად სხვა რამეებიც არ ეპოვნა... იქნებ სადმე გაქვთ დადაბული?

— ეს უკვე ნამეტანია, ყმაწვილო! — აღელდა მოხუცი. — ვატყობ, მამაშენია ამ საქმეში გარეული... მიგონებს... მაგრამ არ გაგიკვთ მაგ ამბავი ჩემთან! კარპეზა ვარ მე, ღვაბერიძე!

— მე კიდევ ნორჩი არქეოლოგი გახლავართ და მეკალეტება, კვალს ბოლომდე ჩავსდიო! — მოუჭრა ბაჭუამ.

— რას იჩემებთ ასე მოწონელიძეები საქვეყნო საქმეს! მამაშენს გადაეცი, თავის კახში დაეტიოს! შენ კიდევ, — კარპეზს ხმა დაურბილდა, — თუ ჩემი ბაბუა ხარ, მაგ ამბავში ნუ გაურევ... ეიღაცას ოდესღაც სადაც რაღაც უპოვნია, მაგას რომ ვსდიოთ ჩვენ, სად წავალთ? დავანებოთ მაგას თავი, თუ გიყვარდე... დავსხდეთ აგერ, ვიშუკშუკოთ. — ოდისკენ გაიხედა და ცალი ყბით გასძახა: — ანტისა!

— ანტისა ბიცოლა ახლახან შუკაში მიდენილდა ძროხას!

— მე ავდგები, აბა, — წამოიწია კარპეზი. — კარგი ტკბილი მაქვს შენისთანა ხალხისთვის.

— არაფერი მინდა, სანამ...

— აბა, ნაღდად მომკარდნიხარ და ეგაა! — შეპყვირა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარპეზმა და ახლად მოვლენილ არქეოლოგს თვალწინ საჩვენებელი თითი აუქნ-დაუქნია. — რა გინდათ, ბოშო, ჩემგან მოწონელიძეებს? რაკი უფსკეროდ გადადივარ, გინდათ ეს ჩემი ეზო-კარიც დაინარჩუნოთ?! ვერ მოესწრებით მაგას!

— აბა, ბაბუა კარპეზ, ეს რამ გაფიქრებინათ, — შეწუხდა ბიჭი. — ჩვენი ეზო-კარის მოვლა გაგვჭირებია, სხვისი რად გვინდა? ხომ გითხარით, რაც მაინტერესებს. შეუძლებელია, რაიმე არ შემოგრჩენოდეთ იმ განძიდან... გული მეუბნება.

— ქვის კუბო მაქვს, ბატონო, ეგერ, სამზადის უკან აყუდებული და, თუ გნებავთ, იმას მოგართმევთ! — გაბოროტებით გამოსცრა კარპეზმა.

— მაგ სარკოფაგსაც კარგად ვიცნობ. ისევე კარგად ბობთ, ერთ დროს გომურში რომ ეგდო, შემდეგ კი — ჭასთან, საქონლის დასარწყულებლად!

— ახლა ისე მაქვს გაკრიალებული, ვერც იცნობ. — მიუგო მოხუცმა. — საიქიო საწოლად მაქვს მიჩენილი. მე შენ გეტყვი, ფეხებს რომ გაგჭიმავ, მუხის კუბოს გამიკეთებს ვინმე... შემოკრავენ თხმელის ფიცრებს და ჰაიდა!

— ნუ იტყვით ასე, კარპეზ ბაბუა!.. მოდით, ისევ მივმართოთ დოკუმენტებს. აქ შავით თეთრზე წერია: „ეზოში. სადაც ოქროპირ ღვაბერიძე ცხოვრობს, უპოვიათ ძველი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფლები სარკოფაგით, რომელშიც ყოფილა ოქროს ჯ-ხი, ესე იგი ქვერთხი, გველის მსგავსი თავით, ოქროს სამაჯურები, ბეჭდები"... ერთი მათგანი აღწერილიც კია: „ოქროში ჩამაჯდარი ლალი, რომელზედაც არის ამოკვრილი ქალის სახე".

ბიჭმა თავი ასწია და გაკვირვებულმა შენიშნა, რომ მოხუცი ვიღაცას ხელის ქნევით ანიშნებდა, აქაურობაა მოცილდინო. თვალი გააპარა და ლაფაროში ანტისა დაინახა.

— აი, ანტისა ბიცოლაც მობრძანდა აგერ! — შესძახა ბიჭმა.

— დედა, ბაჭუნია, ეს შენა ხარ, შენი ჭირიმე?! — თითქოს პირველად ამ წამს დაინახაო, გაიხარა ანტისამ.— რავა გაზრდილხარ და დავაყაცებულხარ, გადასხვაფერებულხარ და დამშვენებულხარ!

— ყველაფერი ასე ერთბაშად?! — გაეცინა ბიჭს და ქალის მკლავებიდან თავის დაღწევას რომ ლამობდა, მისი მარჯვენა ხელში შერჩა. — აი, აკი ვამბობდი!

მზეზე თვალისმომჭრელად აელვარდა ძვირფასი ლალისთვლიანი ბეჭედი.

— ხომ მართალი ვყოფილვარ, კარპეზ ბაბუა?! იმ განძიდან არის... ლალისთვლიანია, ზედ სახეა ამოკვრილი,— ბიჭი გულდასმით დააცქერდა ბეჭედს... — მგონი რაღაც წარწერაცაა. კიდევ კარგი, ეს მაინც გადარჩენილა...

აქამდე ჩუმად მყოფი ანტისა უცებ გაწყრომატდა და ბეჭედი თითიდან წაიძრო. — როგორ, კუბოდან ამოღებული ბეჭდითი დამნიშნე საღეღოფლო ქალი?!. ამ ნაოხარს მატარებინებდი მთელი სამოცი წელი?!

— ხმა ჩაიწყვიტე, ქალო! — შეუღონინა კარპეზმა.

— გულქანცდი და სამაჯურიც იქედან გექნებათ ამოღებული ღვაბერიძეებს, საყურეებიც!

— ქალო, არ გესმის, რა გითხარი მე შენ?! — კარპეზი ცოლს მკლავში სწვდა და შეანჯღრია. — რისი გულქანდი და სამაჯური, რისი ნაოხარი... ჭუთაისში მაქვს ნაყიდი, ოქრომჭედლებთან!

— მაინც უნდა ვნახოთ, ბაბუა კარპეზ! — სცადა მოხუცის დაშოშმინება ბაჭუამ. — ყველაფერი ისევ ოქვენთან დარჩება... მთავარია, არ დაიკარგოს, ვიდრე სპეციალისტებს მოვიწვევდეთ... რომ მოვიკითხავთ, სათვალავში არ უნდა დაგვაკლდეს, თორემ სისხლის სამართლის საქმეა.

— შენ, ბაბუა, ჩემთან სწავლობ იურისტობას თუ რაცაა შენი საქმე!

კარპეზმა ცოლს თვალით ანიშნა, წადიო, მაგრამ ქალმა ახალი ძალით იფეთქა:

— ავიდეთ ოდაში, ბაჭუა, ყველაფერს ამოგილაგებ, შენი თვალით ნახე!—შემდეგ ისევ ქმარს მოუბრუნდა: — იმიტომ იყო, რომ არ მაკეთებინებდი! ქალი ისე დავბერდი, სამჯერ არ გამოვლია ქვეყანაზე მაგ სამკაულებით... თურმე გამოსაჩენი არ ყოფილა და იმიტომ! ასეთი ნაოხარი რომ დამიბედეთ, იმიტომ წავიდა ჩვენი საქმე კარგად... ჯილაგი გაწყდა თქვენი!

— ქალო, ენას კბილი დააჭირე, მე შენ გეუბნები!

ანტისა ოდისკენ წავიდა, ბიჭმა გაყოლა დაუპირა, მაგრამ კარპეზმა შეაჩერა:

— ენახოთ, აბა, ის ქვის კუბო!

— კარგი, ენახოთ! — მიუგო ბაჭუამ ყოყმანის შემდეგ.

ცოტა რომ გაიარეს, კარპეზმა მხარზე ხელი დაადო:

— რას ჩამაცივდი, ბაბუა? ჩემს მეტი ვერავინ ნახე ამოდენა სოფელში? თუ მაგისთანა მჩხრეკელი ხარ, აგერ, — ხელი გორაკისაკენ გაიშვირა, — იმ კორტოხზე წამოდგმულ სასახლეს ხედავ?

— დათა სულამანიძის სახლზე ამბობთ?

— ჰო. მაგათ ყოველთვის უმართლებდათ. რაღაც ფეხი აქვთ ისეთი, თუ იღბალი, არ ვიცი. — თავი გაჭანა კარპეზმა. — პატარა ნიაღვარი და — საქმე ისე რავა წაუხდებათ, ორი-სამი კაკალი ოქრო არ მოიძიონ... გაკეთდნენ, ბატონო, გაკეთდნენ!

●

მიხვეულ-მოხვეულ გზაზე ნელა მომავალი ავტობუსი „ვოლგა" გამოჩნდა. უკან გუნდ-გუნდად მოჰყვებოდნენ სოფლელები.

მანქანა ერთ-ერთ ჭიშკართან შეჩერდა და ხმის გამაძლიერებლიდან გაისმა:

— ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით, ეს სოფელი და მისი მიდამოები ამიერიდან გამოცხადებულია არქეოლოგიურ ნაკრძალად. ამასთან დაკავშირებით, სპეციალური ნებართვის გარეშე კატეგორიულად იკრძალება ყოველგვარი სახის გათხრები, მათ შორის — სამეურნეო დანიშნულების მშენებლობისათვის. ამ მოთხოვნის დამრღვევნი დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით!

ხალხში ერთი გუგუნი, ხელების ქნევა და გადაძახ-გადმოძახება დაირხა:

— ხედავ შენ?!

— უფრო ადრე უნდა ექნათ!

— კარგი დაგემართოთ!

— გათხრები ვითომ რატომ არ შეიძლება?!.

მანქანა დაიძრა და კარპეზის ჭიშკართან შედგა. მოხუცი ისევ ხის ძრასას იწვა და თავს იმძინარებდა.

— კარპეზ ღვაბერიძევ, ნამეტანი ნუ წახვალ ძილში, თორემ გაიპარები! — დაუძახეს მანქანიდან.

კარპეზიც წამოჯდა და თვალები მოიფშვნიტა.

— რა ამბავია, ირიდი?

— კარგად დაუგდე ყური და დაიმახსოვრე, — პირდაპირ საქმეზე გადავიდა მილიციელი. — მერე შენებურად შარი არ მოგვდო, არ ვიცოდიო, რატომ არ გამაგებინეთო...

მანქანიდან კვლავ გაისმა:

— ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით...

სიტყვებმა ექოდ გადაიარეს გორაკიდან გორაკზე.

●

კარპეზის ნათქვამმა ბაჭუას მოსვენება დაუკარგა. მამამისმა — საჩინოსაც დაადასტურა, დათა სულამანიძის პაპამ თუ მამამ ოდესღაც დიდი განძი იპოვაო. ავი ენები იმასაც ამბობდნენ, ზოგ რამეს თვითონაც მოიხმარდაო. მევენახე დათა სულამანიძე სოფელში დაფასებულ და

ჭკუის საკითხავ კაცად ითვლებოდა. ბაჭუას მასთან მარტო მისვლა გაუძნელდა და ისტორიის მასწავლებელს გაუბედა, მიმყევითო.

დათამ დინჯად მოუსმინა მასწავლებელს და მოკლედ მოჭრა:

— მაგ ამბებში მართალიცაა და ტყუილიც. მაგრამ ცარიელ ლაპარაკს რა ფასი აქვს? ერთი წუთით... — დათა მეორე ოთახში გავიდა და ერთი გაყვითლებული, კიდეებშემოცრეცილი გერბიანი ქაღალდი შემოიტანა. — აი, აქ წერია ყველაფერი.

იმ ქაღალდში იმდენი ნივთი და საგანი იყო ჩამოთვლილი, თანაც ისეთი ფასისა, დაუჯერებელიც კი ჩანდა, ადამიანი ამოდენა სიმდიდრეს საკუთარი ნება-სურვილით გამოთხოვებოდა. მაგრამ დათას ტყუილად როდი ეძახდნენ კაცურ კაცს.

— მთელი ეს განძი, პაპის, მამაჩემის თუ ჩემი მოძიებული ქუთაისის მუზეუმში რომ მივიტანე, — გაიხსენა დათამ, — პეტრე ჯაბუკიანის დასწრება მოვითხოვე. ბოხჩა მანამდე არ გავხსენი, სანამ არ მოიყვანეს. შევატყვე, ეწყინათ, მაგრამ პეტრე მაინც სხვა კაცია. გაგონილი გექნებათ, რა თქმა უნდა, დინოზავრის ნაკვალევს დაეძებს მისი დღე და მოსწრება, — იცის ძველის ფასი და ყადრი...

— თუ ნებას დამრთავთ, ამ ქაღალდის ასლს გადავაღებინებ, ამ დღეებში თბილისიდან არქეოლოგებს ველოდებით და ყოველი შემთხვევისათვის, სხვა მასალებთან ერთად, ამასაც დავახვედრებთ, — სთხოვა მასწავლებელმა.

— ინებეთ, ბატონო, ნამეტნავად სანდო ხელს უჭირავს, — თავაზიანად მოუგო მასპინძელმა.

მოწაფე და მასწავლებელი კმაყოფილი და ნასიამოვნები წამოვიდნენ დათა სულამანიძის ოჯახიდან. მართალია, იქ ვერაფერი აღმოაჩინეს, მაგრამ განა ცოტას ნიშნავს ადამიანის პატიოსნებასა და უანგარობაში დარწმუნება?

იმ დღეს ერთი ნაპოვნით მაინც გაიხარეს. დილით სკოლაში მისულ ბაჭუას ერთი მეექვსეკლასელი გოგონა ჩააცივდა, ნორჩ არქეოლოგთა წრეში ჩამწერეთ და იშვიათ ნივთს მიგასწავლითო. პასუხისთვის არ დაუცდია, ისე გაამეღავნა: ჩვენს ოჯახში ხმარობენ დერგად, მაგრამ ძალიან ძველი და საყურადღებო უნდა იყოსო. მართლაც, ანტიკური პითოსი აღმოჩნდა, თუმცა პირჩამომტყვრეული, მაგრამ ნატიფი ფერდაბინდული ნახატებითა და ორნამენტებით დამშვენებული. თინიკოს მშობლები ძლივს დაარეს, რომ იშვიათ ნივთს ფლობდნენ. ბოლოს, ბაჭუას რჩევით, პითოსი ფრთხილად გარეცხეს და დროებით ოდაში დაბინავეს...

საღამოხანს დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი ბაჭუა შინ ბრუნდებოდა. კარპეზის უკანა ეზოს გასწვრივ ჩაჭრილ შუკას რომ გაუსწორდა, გზიდან გადაუხვია და ღობეზე გადახტა, რათა უფრო მოკლეზე წასულიყო. უკვე შეღერილ სიმინდებში რომ შევიდა, უცებ კარპეზ ღვაბერიძე დაინახა. მოხუცი ძალაყინით სინჯავდა მიწას, ხახ აქ, ხან იქ ჩაჭკრავდა, ნამდვილად რაღაცას ეძებდა.

დასასრული შემდეგ ნომერში

დიდებას, საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრობის ბურჯი სარ შენ!

სიყვარული

ნარიმან სულეიმანოვი

პაპა და შვილიშვილი ერთ ოთახში იწვნენ. პაპას რატომღაც ძილი გაუქრთა, საწოლში შამფურივით ტრიალებდა. ბოლოს ჩუმად წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია და ეზოში გადაიხედა, თითქოს იქ რაიმე საქმე ჰქონოდა. უცებ მოეჩვენა, რომ ოთახის კი არა, ვაგონის სარკმლიდან იყურებოდა. „ხეტავ რომელი სადგურია? ამომსვლელ-ჩამომსვლელი ხომ არავინაა? იქნებ ვინმეს მიხმარება სჭირდება?“

— პაპა, რატომ არ გძინავს, ხომ არაფერი გაწუხებს? — მოესმა შვილიშვილის ხმა. თურმე არც შვილიშვილს ეძინა, წელანდელს აქეთ ადევნებდა თვალს. პაპა შეწუხდა, ჩემი საქციელით ბავშვს ძილი დავუფრთხეო.

— არა, შემოგვევლე, არაფერიც არ მაწუხებს. ახლავე დავიძინებ, შენც დაიძინე.

შვილიშვილი გვერდზე გადაბრუნდა, ხელები ლოყის ქვეშ ამოიდო და თვალები დახუჭა. პაპაც დწვა, არ ინძრეოდა, რომ საწოლი არ აჭრიალებულიყო. ცოტა ხანში თვალები მიეღლა.

— ზაზალი! ზაზალი! ზაზალი!

პაპას ეზმანა, თითქოს იგი მატარებელშია, ვაგონში დადის და სადგურზე ჩამსვლელ მგზავრებს აფრთხილებს, დროზე მოემზადონ.

თავისმავე ძახილმა გამოაღვიძა. გაუკვირდა, ამ ჩემს სახლში დაძინებულს „ზაზალი! ზაზალი!“ რამ წამომაძახებინაო. ვაითუ ბავშვს ძილი ისევ დავუფრთხეო.

ძილ-ბურანში წასულ შვილიშვილს მართლაც გაეგონა მისი ძახილი და ნამძინარევი ხმით წარმოთქვა:

— პაპა!

პაპამ თავი დამნაშავედ იგრძნო და ზომაზე მეტი სინაზით ჰკითხა:

— რაო, თავს შემოგევლე?

— ეგრე შენთვის რას ამბობდი?

— ზაზალს ვიძახდი, შვილო.

— ზაზალს?! რა არის ზაზალი?

— ზაზალი განჯის აქეთ მატარა სადგურია. ჰოდა, სიზმარში იმ სადგურს ვხედავდი. ყოველთვის, როცა თბილისიდან მომავლები ღამის ამ დროს ზაზალს მივადგებოდით, ფარნით ხელში ვაგონის ტამბურში გამოვიდოდი. დავინახავდი ბაღრი მთვარის სხივებში გახვეულ სადგურს: ხეთა ტოტებიდანაც მთვარის ნათელი მოყონავდა. შემდეგ ზემოდან და ქვემოდან მომავალი ადამიანები გამოჩნდებოდნენ. ვაგონისკენ მორბოდნენ.

— სალამ ალეიქუმ! — მომესალმებოდნენ აქლოშინებულები.

— ალეიქუმ სალამ! — მივუგებდი.

— ჩვენი ბილეთები თქვენი ვაგონისაა!

— კეთილი, ამობრძანდით, — ვეტყოდი და გზას ვუთმობდი. ქალსა თუ ბავშვს ამოსვლაში მივეხმარებოდი, თავის ადგილას მივიყვანდი, თეთრეულს მივცემდი. ბოლოს, როცა შევამჩნევდი, რომ მატარებელი უკვე მიქროდა და ზაზალი უკან გვქონდა მოტოვებული, ვაგონის სარკმლიდან უცნაური სევდით ვიყურებოდი უკან. ნეტავი კიდევ ერთხელ მანახა-მეთქი ზაზალი...

პაპა ისეთი სიყვარულით ახსენებდა ზაზალს, შვილიშვილს ფხუკუნი აუტყდა.

— პაპა, შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს ზაზალი მოსკოვი იყოს.

— არა, ჩემო საყვარელო, ზაზალი მოსკოვი არ არის, ზაზალი ზაზალია.

შვილიშვილი უკვე მთლიანად გამოფხიზლდა და თქვა:

— პაპა, მოსკოვი უფრო ლამაზია თუ ზაზალი?

— ორივე ლამაზია, შემოგევლე, მოსკოვიცა და ზაზალიც.

— კარგი და, ზაზალი რუკაზე არის?

— ეგ არ ვიცი, შენი ჭირიმე, ის კი ვიცი, რომ ზაზალი ამქვეყნად არსებობს და ჩემს გულშიაც. ქალაქის თუ სოფლის სიყვარულმა უპირველესად თავისი შვილების გულში უნდა დაიმკვიდროს ადგილი, ძერე ის უკვე უკვდავია.

შვილიშვილი დუმდა. პაპამ კი ჩამოთვლა დაიწყო: ზაზალი, ხირლი, ლეჭი, მუღანი, სერეჯლერი, მუსუსული, გილეზი, დაშბურუნი, ჰექერე...

პაპა იმ ქალაქებისა და სოფლების სახელებს ამბობდა, რომლებიც იმ წუთში აგონდებოდა.

— გაიგე?

— ჰო, პაპა.

— მაშ ახლა შენ ჩამოთვალე, მე კი მოგისმენ.

— ზაზალი, ხირლი, ლეჭი, მუღანი, სერეჯლერი, მუსუსული, გილეზი, დაშბურუნი, ჰექერე...

— ოი, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე! რა კარგად დაგიმახსოვრებია! — წამოიძახა შვილიშვილის გულშოდგინებითა და ყურადღებანაობით დიდად ნასიამოვნებმა პაპამ. — ჰოდა, ეგ სახელები არასოდეს დავიიწყო. ყველა მათგანი ლამაზია: მუღანიც მუსუსულიც, ზაზალიც, მოსკოვიც, ბაქოც... ყველა საყვარელია, შემოგევლე.



ᲓᲔᲓᲔᲒᲘ

მათ დროშების ნაფლეთებით
აიფარეს მკერდები —
მთებზე უფრო მაღლობენ
გმირთა გმირი დედები.
მათ გულს ცეცხლად
ჩავენთებითო,
მათ თვალებში ვთენდებით.
სანამ დედა გვფარავს ფრთებით,
მანამდე არ ვბერდებით.
სამშობლო და დედა ასე
ერთურთს არ დავაშოროთ,
წავაწეროთ შვიდსავ ცაზე
სიტყვა „დედა-სამშობლო“!
ძირს მოვხატოთ „გადაშლილი
სერები და ქედები;
რომ უკვდავ ვყოთ სიტყვა
„შვილი“,
ჯერ დღეგრძელვყოთ დედები!

ᲙᲘᲠᲘᲚᲚᲘ ᲖᲘᲐ

ძვირფასი განძი

ტყე — ტოტებად გაშლილი,
ტყე — ფოთლებად გაშლილი...
მე აქ ვცხოვრობ, დავდიკარ
და მე ამ ტყის ვარ შვილი!

ტყეს ჰყავს იფნი, ჩინარი —
ბეჯნიერი მდინარით,
მუხა, წაბლი, კოპიტი —
ხეთა ჯარი მცინარი.

ტყე — ეზომდე, კარამდის! —
მზით ამესები ქალაქის.
ტყე ძვირფასი განძია,
ტყე ვაცოცხლოთ მარადის!

თოფიგ მაკაშული

კონცერტი

აღადინ მანსურზადე

ორი ძმა — თელმანი და აფგანი, ძათი დები — მეჰბარა და გულფარა შინ თუ გარეთ მუდამ ერთად თამაშობდნენ. საკმარისი იყო, ერთი მათგანი რაიმე საქმის გამო ოთხეულს გამოჰკლებოდა, რომ დანარჩენები საუბარს თუ თამაშს შეწყვეტდნენ ხოლმე და მის დაბრუნებას დაელოდებოდნენ.

ერთად საუზმობდნენ, ერთად საღილობდნენ, ერთად ათენ-აღამებდნენ. ერთმანეთს უჩვეულოდ მისჩვეოდნენ. ოთხივენი ერთი მთლიანი სხეულივით იზრდებოდნენ.

ფარაჰა ბებია მათ ნაირ-ნაირ ზღაპრებს უყვებოდა, ზოგჯერ თავის შეთხზულსაც. მაგრამ, თუ ამ დროს და-ძმათაგან რომელიმე შინ არ იყო, მეჰბარა ზღაპარს შეაწყვეტინებდა, ან სულაც არ დაიწყებინებდა:

— ბებიაო, დაიცა, როცა ყველანი ერთად ვიქნებით, მაშინ გვიამბე.

ფარაჰა ბებიაც თავის მაყვალსთვალება, ხუჭუჭა შვილიშვილს მოეფერებოდა, მოუწონებდა ნათქვამს. მეჰბარა ნათესავებსაც არ ეწვეოდა, თუ ოთხივენი ერთად არ იყვნენ, ერთად არ გაისეირნებდნენ. დანარჩენი სამნი — დაიკო და ძამიკოები ცდილობდნენ არ გათიშულიყვნენ, მაგრამ მეჰბარა ამ მხრივ მაინც სხვა იყო. თავისი კეთილი გულის, გონებამახვილობის გამო იგი ოჯახში ყველას განსაკუთრებულად უყვარდა.

...თელმანი მეორე ცვლაში სწავლობდა და სკოლიდან ჯერაც არ დაბრუნებულიყო. საღამოს ტელეგადაცემები კი უკვე დაწყებული იყო. მალე პიონერ-მოსწავლეთა კონცერტიც დაიწყებოდა. ის იყო დიქტორმა ქალიშვილმა პროგრამა გამოაცხადა, რომ მეჰბარას ხმა გაისმა:

— აფგან, სანამ თელმანი მოვა, ტელევიზორი გამორთე!

აფგანი შეცბა — მართალია, სამავშვო გადაცემებს და-ძმები ყოველთვის ერთად უყურებდნენ, მაგრამ კონცერტი ორიოდე წუთში უნდა დაიწყოს, თელმანი კი არა ჩანს და ნუთუ მას უნდა დაელოდონ?

რაც დრო გადიოდა, მეჰბარას აღელვება მატულობდა, მასაც ძალიან უნდოდა კონცერტის ყურება თავის და-ძმებთან ერთად, მაგრამ თელმანი არ ჩანდა, რატომღაც ამჯერად მეტისმეტად დაუგვიანდა სკოლიდან მოსვლა.

ყველა მოუთმენლად [illegible] ფანჯრიდან გზას, რომ [illegible] ძმანი უნდა დაბრუნებულიყო. ეტყობა, მან კონცერტის შესახებ არაფერი იცოდა. ბავშვების მოთმინების ფიალა უკვე აივსო. მეზობლის ტელევიზორიდან მოისმა სიმღერა „თოჯინა". მომღერლის ხმა სამავსათვის რაღაც საოცრად ნაცნობი გამოდგა...

უცებ, მეზობლის გოგონა, ზულეიხა, აქოშინებული შემოვარდა და დაიძახა:

— მეჰბარა, ტელევიზორს რატომ არ ჩართავთ?

— თელმანს ველოდებით, — მიუგო გოგონამ ნაღვლიანად.

— თვითონ თელმანი მღერის, თელმანი, — შეჰყვირა ზულეიხამ და ტელევიზორი ჩართო.

ეკრანი განათდა, გამოჩნდა მოღიმარე თელმანი, მისი ხმა ზარივით წკრიალებდა. მალე მუსიკა მიწყდა, თელმანმა სიმღერა დაამთავრა, მსმენელს თავი დაუკრა და თვალს მიეფარა.

ყველაზე უფრო მეჰბარა იყო გულდაწყვეტილი — მისი ახირების გამო ძმის გამოსვლა თავიდანვე ვერ ნახეს. აბა რა იცოდა გოგონამ, თუ თელმანი გამოვიდოდა კონცერტზე, მას ხომ ამაზე არაფერი უთქვამს თავისიანებისთვის!

ძველი წლის ბოლო დღე

რახანია, გორებს იქით
მზე ჩაგორდა უკვე, მარა
ვერცხლის ფერი დასალიერს
ისევ ისე შვენის რკალად.
და ევაზამ ჰკითხა დედას:
— დღის სინათლე რამდენს
დავობს?
ხომ არისო უკვე გვიან,
მაშ, რატომ არ ღამდებაო?
დედამ უთხრა: — ძალზე გვიან
დაღამდება, შვილო, დღესო,
ბოლო დღეა ძველი წლის და
იხანგრძლივებს სიცოცხლესო.

მორდაბეული

ველოსიპედი

რაანა შიხამიროვა

შაჰმარი სიხარულისაგან აღარ იყო: დედამ სამთვლიანი ველოსიპედი უყიდა. ბიჭუნამ ველოსიპედი ეზოში ჩამოიტანა, უნდოდა გაეტარებინა. ბავშვები გარს შემოეხვივნენ.

— მომეცი, გავატარო, — უთხრა აზათამ, — ვიცი ტარება, ამ ზაფხულს აგარაკზე ვისწავლე ბიძაშვილს ველოსიპედით.

შაჰმარმა საჭეს მაგრად ჩასჭიდა ხელი.

— ვერა, ვერ მოგცემ, მე თვითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს აიდანა ბოგორნას

ჰე, სკოლისკენ წავა წელს
აიდანა გოგონა,
წერა-კითხვა იცის მან,
იცის, მერე როგორა?!
მან ზეპირად ანბანი
იცის, კარგა ხანია,
თუკი რამეს ჰკითხავენ,
ო, როგორ უხარია!
იცის, რაა მიზანი
და რა კიდევ — ვალია.
ჩემი ხვალის მზეა და
ჩემი მომავალია.
ჩემი გულის და სულის
ქალი აიდანია,
ჩემი ტურფა წალკოტის
ნერგის ნედლი ტანია!

რაფიგ ზაქა ხანდანი

პური ბარაქაა

ზაფხულის არდადეგებზე სანუბარი ბებიასა და პაპასთან ჩავიდა სოფელში. აქ მას ყველა განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდა. სანუბარმა ახალი მეგობრებიც გაიჩინა: აიბანიზა, გულარა, ილგარი, შაჰინი, მეთენთეთი... ისინი გარს შემოეხვეოდნენ ხოლმე სანუბარს და ქალაქის ამბებს ეკითხებოდნენ. ენაშეკერა გოგონაც დაუზარლად უპასუხებდა.

ერთი ასეთი საუბრისას ბებია ჰიკრანმა დაიძახა:

— სანუბარ, შვილო, მოდი, მოგეხმარე, დღეს ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი.

სანუბარმა რაღაც ჩაიბუტბუტა სხვები უცებ წამოხტნენ და მუშაობას შეუდგნენ. ილგარმა შეშა მოზიდა, შაჰინმა ცეცხლი დაანთო, აიბანიზამ და მეთენთმა ცომი დააგუნდავეს, გულარამ სათლებით წყალი მოიტანა... სანუბარმა კი, მშიაო, თქვა და ფეხების ბაკუნს მოჰყვა. ბებია ჰიკრანმა უთხრა:

— ახლავე, ჩემო ყვავილო!

გულარამ კერძი ცეცხლზე შემოდგა. სანუბარი ზანტად მიუახლოვდა მაგიდას. ბავშვები მიმოფანტნენ, სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. სანუბარი თან ჭამდა პურს, თან ძირსაც ყრიდა. სწორედ ამ დროს ოთახში პაპა მორალი შემოვიდა. ჯერ ცოტა ხანს უყურა შვილიშვილის მოქმედებას, მერე უთხრა:

— ჩემო შვილიკო, იცი, რასა შვრები?

სანუბარი ვერ მიხვდა, პაპამ კი განაგრძო:

— ჩემო გოგონი, ხალხის ოფლით მოწეულ პურს ფეხქვეშ რატომ იყრი! შენ იცი, პური რა არის? პური ბარაქაა, შვილო, მას მოფრთხილება უნდა.

სანუბარი დაფიქრდა, შერცხვა და თავი დახარა.

თეირანე მაჰმუდოვა,
ბაკოს 52-ე საშუალო სკოლა,
VII კლასი.

ჩემი ნაგრანი

ნაბრანს ჩემსას ტყე აკვრია,
სუნით ათრობს არეს ია,
ნაბრანს გულთა გული ჰქვია,
ხიბლავს მომსვლელს გულის
გულით,
აჯილდოებს თაიგულით.
წყაროები ჩქეფს ანკარა,
ხეხილს დაუჩრდილავს შარა,
ვინც კი მოადგება კარად,
ღიად ხვდება ყველა სტუმარს,
არ უმტყუნებს არვის გუმანს.

ხან უთეთრეს ნისლში ზიხარ,
ხან პაერში თითქოს თრთიხარ,
ჩემი ბაღნარ-წალკოტი ხარ,
მე ბალახიც შენი მიყვარს,
ჩემი ტურფა ნაბრანი ხარ.

დილარა შაიდ ყიზი,
ბაკოს 132-ე საშუალო სკოლის
მოსწავლე.

ჯეორჯიევსკის ტრაქტატი

ვიქტორინა „მეგობრობა გზად და ხიდად“

ქართველი და რუსი ხალხების ისტორიულ, კულტურულ, სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ ურთიერთობას შორეული წესვები აქვს. ისინი საუკუნეების მიღმა ჩანსაა. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა 200 წლის წინ, მას შემდეგ, რაც ცნობილი გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა.

...„შედარებით მალე აღინიშნავთ რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების მე-200 წლისთავს. სწორი არჩევანი მოხდინეს რუსმა წინაპრებმა 200 წლის წინათ. რუსი და ქართველი ხალხების მეგობრული ურთიერთობა გაიზარდა, კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს ეკვსი სოციალისტური ათწლეულის მანძილზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის სოციალიზმის ისტორიული მისია — დაიხსნიოს და დაამოწმოს ხალხები, დამკვიდროს მათ შორის სიმტკიცილობა და მშვიდობა“, — განაცხადა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე თბილისში გამოსვლისას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

მართლაც დიდია რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის გეორგიევსკის ტრაქტატის მნიშვნელობა. ამიტომ ჩვენი რესპუბლიკა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საგანგებოდ ეზიდება ამ ისტორიული თარიღის აღსანიშნავად ამასთან დაკავშირებით, ჟურნალ „პიონერის“ redakcia აცხადებს ვიქტორინას „მეგობრობა გზად და ხიდად“.

ვიქტორინა ჩატარდება სამ ეტაპად. პირველი ეტაპის კითხვებს ეძღვნებთ ჟურნალის ამ ნომერში, მათზე პასუხების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 30 სექტემბერი.

II ეტაპის კითხვები დაიბეჭდება ჟურნალის მე-10 — ოქტომბრის ნომერში. პასუხები უნდა გამოგზავნოს 30 დეკემბრამდე.

III ეტაპის კითხვები გამოქვეყნდება 1983 წლის იანვარში. ამ კითხვებზე პასუხები უნდა გამოგზავნოს 30 აპრილამდე.

ვიქტორინაში მონაწილეობენ მხოლოდ მოსწავლეები. პასუხები უნდა გამოგზავნოთ ჟურნალ „პიონერის“ redakciis მისამართით, კონვერტზე, გარდა ჩვენი მისამართისა, აღნიშნეთ: „ვიქტორინა“. სამუშაო შესრულებული უნდა იყოს სუფთად, გარეული ხელით. ზუსტად უჩვენეთ თქვენი მისამართი, სკოლა, კლასი, გვარი, სახელი, მამის სახელი.

ვიქტორინას შეაჯამებს ავტორიტეტული ჟიური. შედეგები გამოქვეყნდება ჟურნალში.

გამარჯვებულებს გადაეცემათ ფასიანი სარეკვრები.

პირველი ეტაპის კითხვები

I. როდის გადაიდგა პირველი ნაბიჯი რუსეთ-საქართველოს დაკავშირების გზაზე?

II. რა მიზნს ისახავდნენ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, „ხიმეგობრო ხელშეკრულებას“ რომ დებდნენ?

III. როდის და სად დაიდო მეგობრობის ხელშეკრულება, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის სახელითაა ცნობილი? რომელი ქართველი მოღვაწეები მონაწილეობდნენ ამ დოკუმენტის გაფორმებაში?

IV. რა ვალდებულებებს ითვალისწინებდა ძირითადად მეგობრობის ხელშეკრულება?

V. როდის და ვინ დაარსა გეორგიევსკის ციხესიმაგრე?

VI. „ეკლესიამ უნდა თავის საქმე ეკლესიამ მოიკიაროს, ამ სოფელსა ხელი მეკარის, იქაც ბარგი დაიბარგოს, მოეკარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რაზე არგოს, სახელის ხე სანრდილებლად წელისა პარსა ხაზე დარგოს.“

ვის ეკუთვნის ეს სტრიქონები? რა იცით მის შესახებ?

VII. როდის დაარსდა „ქართველთა მოსკოვის კოლონია“, რა როლი შეასრულა მან რუსი და ქართველი ხალხების დაახლოების, ეროვნულ ლიტერატურულ და მეცნიერულ ურთიერთობათა საქმეში?

VIII. „ჩემს უკან დგერობა ქნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქმნას...“

ვინ არის ამ სტრიქონების ავტორი? რა იცით მის შესახებ?

IX. სად დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი? ვინ იყო ამ საშვილიშვილო საქმის ინიციატორი?

X. როდის დაარსდა პირველად სტამბა თბილისში?

რა იცით ამ სტამბაში დაბეჭდილი წიგნების შესახებ?

მხატვარი ბუბა ფოროსიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოთარ შალამბერიძე

50 წლისაა

ჩვენი ჟურნალის დიდი ხნის მეგობარს, ცნობილ ქართველ პოეტს ოთარ შალამბერიძეს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია მრავალათასიან მკითხველებთან ერთად სულითა და გულით ულოცავს მას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს მრავალ წელს ბედნიერ, შემოქმედებითი სიხარულით აღსავსე სიცოცხლეს.

წიგნი

ყველას გულში რომ მკვიდრობ,
ყველა ოჯახს რომ ჰშვენი,
ქებათა-ქება, წიგნო,
ქებათა-ქება შენი!

რაც დაგისახავს მიზნად,
გარანტიაა ძმობის,
განუწყვეტელი ზრდის და
განუწყვეტელი წრთობის.

თუ სადმე რწმენამ იკლო,
ან გულს დაეტყო ბზარი,
ისევ შენ გვიხმობ, წიგნო,
შენი მაღალი ზარით!..

თუ რამ სატკივარს ვფიქრობ,
მეგობარივით მშველი;
მადლობელი ვარ, წიგნო,
მადლობელი ვარ შენი.

ვინც მხარს მიქცევსო განგებ,
ერთადერთ სანთელს იქრობს, —
უნიგნურთათვის აგრე
გიბრძანებია, წიგნო!

უსასრულოა სწორედ
შენი სამეფო ტახტი;
ციურ სხეულებს შორის
პირველ კოსმონავტს ახლდი!..

ღია სარკმელი სულის...
ღია სარკმელი ფიქრის...
აი, სურათი სრული
მარად ცოცხალი წიგნის.

თვით უკვდავ პუშკინს (ბარემ
განითლდი, შავო ბედო)
დუელის წინა ღამეს
გაშლილი წიგნი ედო...

ერის გულში რომ მკვიდრობ,
ერის საგანძურს აშვენი,
ქებათა-ქება წიგნო,
ქებათა-ქება შენი!

ნია

ბაბუა ბოგუშავა ქართველებს

შორეულო საქართველოვ,
რა ახლო ხარ გულთან?
ფოთოლივით აგვათრთოლებს
შენი ნაზი სუნთქვა.
ნია, ნია — ეს სახელი
ნიავივით მღერის;
ნია, ნია — საქართველოს
შორს გაწვდილი ხელი...
ნია, ნია — ეს სახელი
გულისგულში ატანს;
ნია, ნია — როგორც ქარში
გაფრენილი ფატა...
აი, ახლაც შენზე ვფიქრობ,
შენზე ვფიქრობ ისევ;
შენ ქართული ხარ საფუტკრე
და ლექსს თაფლით მივსებ...
ხალხის ზრუნვა გახალისებს,
ხალხის მონაგარი;
იქ ყინულის აკვანს გირწევს
თბილისური ქარი!..

აღმოსავლეთს გვეგულები,
როგორც ბეჭდის თვალი,
დამიკვიდრე ერთგულება
და ღიმილი ხვალის.
ნია, ნია — ქართულ გვარის
სოფელი თუ დაბა,
გშვენის ქართველის ნაჩუქარი
ნაძვისფერი კაბა!..

ნაცვრის ლექსი

ერთი ეზოდან გასული
გზად მიდიოდა ცხრა ბავშვი.
ლხენით აეკლოთ მიდამო,
თავი მეგონა ზღაპარში.
სკოლისკენ მიიჩქაროდნენ,
ექვსი ძმა იყო, სამი და;
ღმერთი და რჯული! — სუყველა
ერთი ეზოდან გავიდა.
ჭიშკართან მდგარი მშობლები
მიაცილებდნენ ღიმილით.
განკურნებოდა ქვეყანას,
თუკი რამ ჰქონდა ტკივილი.
შუქს ჰფენდნენ გარეშემოსა
თვალებით მოგიზგიზეთი...
იცოცხლეთ, სიზმარი ვნახე,
ცხადს რომ ჯობია, ისეთი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვთა
ჟურნალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაისი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №6

შვლის ნუკრისა და ცისფერი სპილოს ამბავი

დიდხანს იჯდა გოგონა მაგიდაასთან. წინ საღებავები და სახატავი ფურცელი ეწყო. დიდი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა ვაჟა-ფშაველას შვლის ნუკრი დაეხატა. ლამაზი შვლის ნუკრი გამოვიდა. თვალები ისეთი მეტყველი ჰქონდა, თითქოს ახლა გაგესაუბრებაო. გოგონამაც იფიქრა. იფიქრა და... გვერდით ცისფერი სპილო მიუხატა. დიდხანს ხატავდა პალმებში მოსიარულე სპილოს. როდესაც დაამთავრა, ნახატი შვლის ნუკრის გვერდით კედელზე გააკრა. ცოტა ხნის შემდეგ სპილოს და ნუკრის ცნობისმოყვარე თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. პირველმა შვლის ნუკრმა ჰკითხა: — ვინა ხარ და აქ საიდან მოხვდიო?

— მე ინდოეთის სპილო ვარ, — მიუგო სპილომ. — ინდოეთი შორსაა საქართველოდან. მე იქ გავიზარდე. მშობლებიც იქა· მყავს, და-ძმებიც და მეგობრებიც.

— კი მაგრამ, რატომ გაქვს ასეთი ფერი? — შეეკითხა მეტად ცნობისმოყვარე ნუკრი.

— მე ხომ წყლისა და ცის ფერი ვარ. ამიტომაც ცისფერ სპილოს მეძახიან. ახლა შენ მითხარი, ვინა ხარ?

— მე შვლის ნუკრი ვარ. დედა ბოროტმა მონადირეებმა და წუწკმა მეძებრებმა მოიკლეს. ობლად დავრჩი, მაგრამ ტყეს შევეცოდე და მან შეიფარა. ის გახდა ჩემი მშობელი დედა, ის მაწოვებდა ძუძუს, ის მიფარავდა მტრებისგან. მე ძალიან მიხარია, რომ ბუნებამ ჩემი მშობელი ტყის ფერით დამაჯილდოვა.

— იცი რა, მოდი, დავძმობილდეთ. — შესთავაზა სპილომ. — ჩვენ ხომ მთელი სიცოცხლე ამ პატარა ოთახის კედელზე უნდა გავატაროთო. რა კარგია! ვისაუბრებთ ხოლმე. შენ შენ· ამბავს მიამბობ, მე კი ჩემსას გეტყვ·

ნუკრს ძალიან მოეწონა ცისფერი სპილო და მისი აზრიც სიხარულით გაიზიარა. ასე დაიწყო მათი მეგობრობა.

ნინო გალიაშვილი,
ყვარლის რაიონი, სანავარდოს რვაწლიანი სკოლა, VII კლასი.

ქვეყნის მეოდი მაკვირვებს!

ჩემო სამშობლოვ მზიანო,
ბალახო ცივ ცვარიანო,
კლდეზე ჯიხვის რქის ჭახუნო,
მთაში — ირემო რქიანო,
მდინარის პირას ყვავილო,
ბუჩქში პატარა იაო,
მადლით მოსილო ტყეებო,
ხევის წანწალა ნიავო,
შატილს ნაგები ციხეო,
ქალაუ, სახემზიანო,
ბიჭაუ, ხევსურთ მარჯვენავ,
ქვეყნის იმედი გქვიანო.

ლეილა ჟერაული,
ახმეტა, მე-2 საშუალო სკოლა, VIII კლასი.

ჩვენი ოლია ბებია

როგორც კი ცა შემტრეგდისფერდება, ფეზზეა. კარს გამოაღებს, შინაურ სამქმეს ათიოდე წუთში მოითავებს, ჩქარი ნაბიჯით სკოლისაკენ ვაემართება — ის ხომ სკოლაში მუღამ პირველი მიდის. საკლასო ოთახებს დაიგლის — წესრიგსა და სისუფთავეს შეამოწმებს. სკოლაში მისულები ყოველ დილით ვხედავთ — ზის სკოლის შესასვლელთან ეს ფუსფუსა, კეთილი მოხუცი და რაღაცას ქსოვს.

ოლია ბებიას ყოველდღიურად დერეფნისა და რამდენიმე საკლასო ოთახის დაგვა-დასუფთავება უხდება. პავშვებს გვეკოდება წელში მოხრილი მოხუცი, ხშირად დახმარებასაც ვთავაზობთ. ის კი მადლობას გვიხდის და მუდამ ერთსა და იმავეს გვეუბნება: თუ დრო გაქვთ, თქვენს მშობლებს მიეხმარეთ, ან გაკვეთილები კარგად მოამზადეთ ხვალისთვისო.

ასეთია ოლია ბებია.

წყალტუბო, რიონის საშუალო სკოლის მეოთხეკლასელები.

გაზაფხული

გაიღვიძა კვლავ ბუნებამ,
შეიცვალა ფერი,
ბაჭიები პირს იბანენ,
იზმორება მგელი.
მზე სახეზე ახატიათ
დათუჩას და მელას;
მზის ღიმილი ახალისებს
დიდ-პატარას, ყველას.
გაზაფხული დადის ტყეში,
და ტყის ნადირს ართობს,
ამწვანებულ მინდორს ადგას
მზის გვირგვინი ფართო.

მარიანა ქოჩლაძე,
თბილისი, 170-ე საშუალო სკოლა, IV კლასი.

ბეღურას ნაამბობი

გაფრინდა ზაფხული, როცა საკვები თავაყარილად მქონდა. შემოდგომამაც დაიბერტყა თავისი ბარაქიანი კალთა. ბუნება გაიძარცვა. აცივდა. ჭიაღუები ღრმად შეძვრნენ ხეების ქერქში. ზოგნი მიწის წიაღში ჩაიმალნენ. სუსხიანმა ქარმა დაუბერა. ბევრი ჩემი ნაცნობი ფრინველი დაადგა გრძელ გზას — თბილი ქვეყნებისკენ გაუწია. შენც წამოდიო, — მირჩიეს. მაგრამ მე ისევ შშობლიურ ადგილებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყიდან ვენახამდე

შორეულ მაღალ მთებზე ჯერ კიდევ შეიმჩნევა თოვლის თეთრი ლაქები. მაგრ სულ გადნება თოვლი. მოვიდა ლამაზი, კეკლუცი გაზაფხული.

ტყის ბილიკს მივყვები და რაც უფრო ღრმად შევდივარ ტყეში, მით უფრო მიპყრობს ბუნების ამაღლებელი სილამაზე — ლამაზი ენძელა, რომელიც ეს-ეს არის ამოსულა, თამამი ყოჩივარდა და ეს მორცხვი ია, დამათრობელ სუნს რომ ჰფენს არემარეს.

გამოვემშვიდობე ტყეს და დავადექი სოფლის გზას. სახლში პაპას ტყის ამბები მოვუყევი. მერე მე, პაპამ, ბებიამ, ჩემმა მეგობარმა დათომ, ჩემმა დეიდაშვილებმა ნინომ და ნათიამ ვენახისაკენ გავწიეთ. კარგ მომუშავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნების ბალადა

მზე დაჯდა ნაყაიჩოზე,
ფარსმას მოადგა ჩრდილია.
შევსცქერ ჩამავალ მზესა და
გულში ჩამიდგა ლხინია.
ბინდი ჩამოწვა სოფელში,
მწყემსები ჭამას ელიან.
ფარსმის ვაკეზე ქალები
ძროხების წველას რჩებიან.
რა ლამაზია, დედაო,
ჩემი თუშეთის მთებია!
შევცქერი იმათ ქედებს და
ვერვისად შემიდრებია.

რამაზ სულაააური,
ახმეტა. ზემო ალვანი, X კლასი.

ზაალ მარუაშვილი. თერჯოლის პირველი საშუალო სკოლა. II კლასი.

შემოხვევა ქუჩაში

გაზაფხულის მზიანი დღე დგას. ია დროა, როცა ტყისპირებში იებს ნესტიანი მიწიდან თავი ამოუყვიათ, ხოლო ქალაქის ყველა საყვავილეში და ტრანსპორტის თითქმის ყოველ გაჩერებაზე იები იყიდება...

სკოლიდან ფეხით წამოვედი და უნივერსიტეტის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან შევჩერდი. მიწისქვეშა გადასასვლელთან მოხუცი ქალი იდგა და ხელში ახალდაკრეფილი, ჯერ კიდევ ცვრიანი იები ეჭირა. მინდოდა მეყიდა, ჯიბე მოვიჩხრიკე, მაგრამ ერთი ათკაპიკიანიც არ აღმომაჩნდა. დავღონდი... ამ დროს მოხუცს ტანმაღალი ბიჭი მიუახლოვდა და რამდენიმე კონა ია იყიდა. ამას რომ შეეხედე, კი არ შემშურდა, შეენატრე, გავიფიქრე, ნეტავი ის იები ჩემი იყოს-მეთქი, და შევბრუნდი.

...უცებ ვიღაცამ მხარზე მორიდებით დამადო ხელი და შემომბარუნა. ის ბიჭი იყო. იის კონები გამოშიწოდა და ღიმილით მითხრა:

— გაზაფხულის დადგომას გილოცავ, აი, ეს პატარა საჩუქარი მიიღე ჩემგან!

დავიბენი, ძლივა მოვახერხე მადლობა თქმა... მას სახეზე ღიმილი არ მოშორებია, გასამხნევებლად თავიც დამიქნია. სწორედ იმ წუთს ავტობუსი მოვიდა და ის უცნაური ახალგაზრდა წაიყვანა.

დიდხანს ვიდექი გაოგნებული და ბედნიერი. უცებ მოხუცი ქალის მზერას წავაწყდი. მიყურებდა და თვალიდან გადმოვარდნილ ცრემლს იწმენდდა...

ნინო კაკაძე, თბილისი, 59-ე საშუალო სკოლა. IX კლასი.

ბაზაფხულის ფერები

მთაზე დამდნარა თოვლი,
კორდზე ბიბინებს ია,
სიცოცხლე, გაზაფხული —
შეხეთ, რა ლამაზია!
ტყეში ხოხობი ფრთხება,
ხევში ამღერდა წყარო.
ზამთრის ქარბუქის შემდეგ
მთელი ქვეყანა ხარობს!

ადიდებულა თერგი,
ისმის ჭიკჭიკი მერცხლის.
მზემ მოაბნია მინდვრებს
ოქროცურვილი ვერცხლი.

ლია ჯიტოშვილი,
ჯერჯალი, მახარაძის საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

ფიმა

ოჰ, რა ლამაზად
მოდის წვიმა!
ხეები ირხევა,
ფოთლები ცვივა,
ნვეთები წკრიალა
მძივებად ისხმება
და უწყვეტ ნაკადად
ბალახში იბნევა.
მიწამდე დაშვებას
არა და არ ვაცლი,
სიფრთხილით, სათუთად,
ცალ-ცალკე ავმარცვლავ
და თქვენთვის ავასხამ
ალმასის მძივს...
წვიმა კი მოდის,
ფოთოლი თრთის...

ია მანდარია,
თბილისი. 48-ე საშუალო
სკოლა. VI კლასი.

ეკლა

საქათმისკენ მიდის მელა,
თათებს ადგამს ფრთხილად, ნელა.
გარეთ ცივა, თანაც ბნელა,
მაგრამ მაინც მიდის მელა.
უცებ იკრა ძაღლის სუნი
და გააცხო ლამის სული.
გაიპარა ნელა-ნელა...
რა ეგონა აბა მელას?!

თამრიკო გიუნაშვილი,
თბილისი, 55-ე საშუალო
სკოლა. II კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის გაფრთხილება.

ლია მოლარიშვილი, 7 წლის.
ქ. ბახარაძე, ბოხეკაური.

ჩემი შარიკა

სკოლიდან სახლში რომ ვბრუნდები, მიხარია. ვიცი, ჩემი ერთგული ძაღლი, ჩემი შარიკა ხტუნავ-ხტუნავით და თამაშით შემომეგებება. ყოველდღე ასე მეორდება. ჭიშკარს გავღებ თუ არა, შარიკა უკვე ჩემს ფეხებთან არის.

ერთ დღეს იგი ჩვეულებისამებრ არ შემომგებებია. გამიკვირდა, ვუძახე, ვუძახე, მაგრამ არსად ჩანდა, ბოლოს მისი წკმუტუნი მომესმა, ხმას მივყეკი და რა დავინახე? შარიკა კიბის ქვეშ იწვა, სულ დასისხლიანებული ჰქონდა ფეხი. ეტყობოდა, მინის ნამსხვრევზე გაეკრა. ჩემს დას ნანას დავუძახე და ორივემ ჭრილობა შევუხვიეთ.

ახლა შარიკა კარგად არის. ნატკენი მოუშუშდა და სკოლიდან მოსულს ისევ ისეთი სიხარულით მეგებება, როგორც წინათ.

დავით გაფრინდაშვილი,
ხაშურის რაიონი, სურამი, იტრიის
ხაშუალო სკოლა, VII კლასი.

ჭიქრი

მოიღრუბლა ზეცა —
აიმღვრია თვალი,
ელვა გატყდა მთებში,
დევის ტყუპისცალი.
სახურავზე ცელქად
ატყაპუნდა წვიმა,
ფანჯრის სველ მინასთან
ნამმა გაიბრწყინა,
მერე... გადაიღო
მხოლოდ ერთი ნამით,
და ენძელას ღაწვზე
აუცრემლდა ნამი.

როზა კოპაძე,
ქარელი, დვანის ხაშუალო
სკოლა, X კლასი.

ფიქრი

ზაფხულის წყნარი საღამო იყო. ღია სარკმელთან პატარა გოგონა იდგა. იდაყვებით ფანჯრის რაფას დაყრდნობოდა და თაფლისფერი თვალებით შორეთს გაჰყურებდა. პატარა ანგელოზს ჰგავდა. ფიქრის ანგელოზს. გარემო მონუსხული შეჰყურებდა მას.

ნიავი ალუბლის ტოტზე განაბულიყო და იქიდან უთვალთვალებდა პატარას.

გოგონა ფიქრობდა. გარემო დუმდა. არავის უნდოდა, ხელი შეეშალა მისთვის. ფანჯარასთან ტირიფები იდგნენ. გრილი თმები მიწამდე ჩამოშვებოდათ. მათ ვიწრო ფოთლებზე მთვარის შუქი თამაშობდა. ფრთხილად, ალერსით.

— ნეტავი რამ ჩააფიქრა პატარა გოგო? — ჩაიჩურჩულა ერთმა.

— არ ვიცი, — უპასუხა მეორემ.— როგორ მინდა, მოვეფერო...

— მეც. მაგრამ არ შეიძლება. ხელს ნუ შეეუშლით. იფიქროს. ტირიფები წყნარად ლაპარაკობდნენ. ნაზი, ხავერდოვანი ხმით.

ცოტა ხნის შემდეგ გოგონა შეირხა, ხელები წინ წამოსწია. გარეშემ ამოისუნთქა. ყური მიუგდო, აინტერესებდა, ვის მოუზმობდა გოგონა.

— სადა ხარ, ნიავო?

— აქ გახლავარ პაწიავ!

— ნიავო, მდინარის გაღმა რომ ყვავილებია, იმათთან გაფრინდი. ყველანი დამიკოცნე, უთხარი, სტუმრად მეწვიონ. ღამით მოვიდნენ. უთხარი, ოთახში შეგიყვანთ და გეთამაშებით-თქო.

ნიავი გაფრინდა. გოგონა საწოლისაკენ წავიდა. ღამის პერანგი კოქტებამდე დასთრევდა.

...ტკბილი ძილი, ტკბილი ძილი, პაწია გოგონავ! გჯეროდეს ნიავისა, აუცილებლად მოგიყვანს ყვავილებს. ღმერთმა ნუ მოგიშალოს მათზე ფიქრი და მათთან თამაში ცხადსა და სიზმარში!..

სოფიკო ტუეშელაშვილი,
ვანი, ბზვანის ხაშუალო
სკოლა, VII კლასი.

ალოუნი.

დავით ნაცვლიშვილი,
7 წლის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გფრ-ში გამოვიდა წიგნი „ბავშვთა შრომა შედეგრაციულ რესკუალიკაში". მასში მოთხრობილია ბავშვების უმოწყალო ექსპლოატაციაზე. ამ წიგნის ნაწყვეტი გამოქვეყნდა დიუსელდორფის გაზეთ „დოიჩე ფოლკსციტუნგში". გთავაზობთ ამ ნაწყვეტს.

ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

გფრ-ში შრომობს 300 ათასზე მეტი ბავშვი — მარტო ჟურნალ-გაზეთების გავრცელებაზე დაკავებულია 70 ათასზე მეტი, სოფლის მეურნეობაში — 100 ათასი, ვაჭრობაში და ტრანსპორტზე ექსპლოატაცია ეწევა 30 ათასზე მეტი მოზარდის შრომას. მომსახურების სფეროში, სასაუზმეებში, სამრეცხაოებში მუშაობს 10 ათასამდე, სამრეწველო წარმოებაში — 20 ათასამდე ბავშვი.

მრავალშვილიანი მუშათა ოჯახების მძიმე მატერიალური მდგომარეობა, ღარიბი გლეხობის უილაჯო ყოფა აიძულებს მათს შვილებს, ყრმობიდანვე მიეხმარონ მშობლებს ლუკმა პურის შოვნაში. განათლების მიღების პერსპექტივაც მათ სხვებზე ნაკლები აქვთ.

ბოლო წლებში ფართოდ გავრცელდა ბავშვთა შრომის ახალი ფორმა — ეგრეთწოდებული „საცდელი სამუშაო". ახალგაზრდობაში უმუშევრობის ზრდისა და წარმოებაში შეგირდების ადგილის სიმცირის გამო, უმეტეს შემთხვევაში ძირითადი და სპეციალური სკოლების უფროსკლასელები ცდილობენ წინდაწინვე დაიბეჭონ სამუშაო ადგილი (გფრ-ში არსებობს საშუალო სკოლის რამდენიმე ტიპი. ე. წ. ძირითადი სკოლა იძლევა მხოლოდ პროფესიულ სასწავლებელში შესასვლელად საკმარის განათლებას, სპეციალურ სკოლებში კი სწავლობენ ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვები).

ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის მიწების შრომის მინისტრს მოჰყავს „ასობით შემთხვევა", როდესაც ფირმები მოსწავლეებს „იწვევენ" აკრძალულ „საცდელ სამუშაოზე", იმის იმედით, რომ მომავალში ეს ფირმა მათ სამუშაოს მისცემს, ბავშვები ხშირად უსასყიდლოდაც მუშაობენ.

დიუსელდორფის ერთ-ერთი სკოლის გამოსაშვები კლასის მოსწავლე გოგონამ ითხოვა გაენთავისუფლებინათ საშინაო დავალებებისაგან, რადგან ყოველ საღამოს 9 საათიდან იგი სამდიცინო ბარათებს ავსებდა ერთ ექიმთან. გოგონამ დასძინა, რომ მასთან ერთად ამ ექიმთან კიდევ სამნი მუშაობენ და მათ შორის უკეთესს ექიმი მუდმივ სამუშაოს ჰპირდება.

ქალაქის სხვა სკოლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დადასტურდა, რომ 11-დან ათ სკოლაში ბლომად არიან „საცდელ სამუშაოზე" მომუშავე ბავშვები, რომელთა ნახევარს კაპიკსაც არ უხდიან. ამ ბავშვების მშობლები კი გაჩუმებას ამჯობინებენ იმ იმედით, იქნებ მომავალში მათმა შვილებმა მუდმივი სამუშაო იშოვნონ.

განსაკუთრებით მძიმე ექსპლოატაციის ობიექტები ხდებიან უცხოელი მუშების შვილები. ბევრ მათგანს სკოლაში სიარულის სახსარი არ გააჩნია და სამუშაოს ეძებს. მშობლები კი შვილების ასაკს მალავენ, რომ ისინი უფრო იოლად მიიღონ სამუშაოზე.

ბავშვების შრომას იყენებენ არა მარტო წვრილ, არამედ საშუალო და დიდ საწარმოებშიც. აი, რამდენიმე მაგალითი: კომისიამ, რომელიც ერთ-ერთ დიდ მშენებლობას ამოწმებდა, აღმოაჩინა, რომ ექსკავატორზე მუშაობდა 14 წლის მოსწავლე. მეორე, 11 წლის ბიჭუნა, ერთი კვირის მანძილზე ყოველდღე დილის 7 საათიდან საღამოს ექვს საათამდე მძიმე ფიცრებსა და ხელსაწყოებს ეზიდებოდა. ერთი მოსწავლე კი, რომელიც არდადეგების დროს არხის გაყვანაზე მუშაობდა, ექსკავატორმა გაეულიტა. ბავარიაში ერთმა მეწარმემ 25 ბავშვი დაიჭირავა. ორი ბიჭუნა, 9 და 10 წლისა, მის სახელოსნოში შემდეგებლებად მუშაობდა ყოველგვარი დამცავი სა-

ერთ სტამბაში ორი ბავშვი დასვენების დღეებში მუშაობს სალამოს 8 საათიდან ნაშუალამევის ორ საათამდე. ლუდსახდელ ქარხანაში 11-დან 14 წლამდე სამი მოზარდი მუშაობს ცარიელი ტარის გადატვირთვაზე, ასრულებენ სხვა დამხმარე სამუშაოებსაც. რაშიც გასამრჯელოდ კაპიკებს ღებულობენ. მხოლოდ ხანდახან კათხა ლუდით უმასპინძლდებიან მათ. ერთი ამ ყმაწვილთაგანი ერთხელ საავადმყოფოში აღმოჩნდა ალკოჰოლური მოწამვლის შედეგად.

დამკრავებლებს არაფრად ედარდებათ, რომ ყოველდღიური და ხშირად მძიმე ფიზიკური შრომა ასუსტებს ბავშვის მოზარდ ორგანიზმს. ავადდებს მის ფსიქიკას. ზიანი, რომელიც ბავშვის ორგანიზმს ადგება, ხშირად უმალვე არ მჟღავნდება, მაგრამ როცა თავს იჩენს, ბავშვის ჯანმრთელობის გამოსწორებაზე ლაპარაკიც კი დაგვიანებულია.

წარმოებაში დაკავებული ბავშვები მეტწილად მონოტონურ, ერთფეროვან, გამმთაყვანებელ სამუშაოს ასრულებენ და ამით დიდად ფერხდება მათი არა მარტო ფიზიკური, არამედ გონებრივი და სოციალური განვითარებაც.

შუალების გარეშე. ბავშვებს კანის გაღიზიანება დაეწყოთ და იძულებული გახდნენ ექიმისთვის მიემართთა. 14 წლის მოზარდი ერთი წლის მანძილზე 4 საათის განმავლობაში მუშაობდა დიდ სადურგლო სახელოსნოში სარაჯდავ დაზგაზე, ვიდრე დანამ თითი არ წააცალა. ერთ-

არდადეგების მოახლოებას ზაფხული პირველი თვის პირველ დღეებიდანვე გრძნობთ. ფიქრობთ, წაიძატებით დაათვალოთ საწყალო წელ და მეო, ჰეი, ბილიკებო დაგზებო! აად არ გაატუმბოთ ზაფხული — შავიზღვისპიროეთ. ბოროლმი ბეობაა. ავანეთს... უსაქმოდ ეურსად გაზურდებით. ბანაკში იქნებით თუ სოფლად. პიონერულმა აქტივისტმა ყველგან უნდა გამოიყენოს თავისი საუკეთესო თვისებები.

ბანაკი მეორე სკოლაა და პიონერული მუშაობა აქ არ წყდება. ბუზღუნს ნუ მოაყვებით. აქ დასაყვებებლად ნაძოვედით და არა საძუშაოდო. ზოგიერთი პიონერი ალც კი ამბელს ხოლმე, რა დაგალება ჰქონდა თავის რაზმეულში. რა თქმა უნდა, ეს სწორი არ არის. პიონერული აქტივი პიონერთა ბანაკშიც უფროსი პიონერსელმძღვანელის საიმედო დასაყრდენია.

ბანაკში ჩასვლისთანავე პიონერები ეცნობიან ერთმანეთს, უამბობენ, რომელი რაიონიდან. ქალაქიდან თუ სკოლიდან ჩამოვიდნენ, რა დავალება ჰქონდათ რაზმეულში, ყველანი. თუ რა გაკეთდა მათთან საკავშირო პიონერთა ორგანიზაციაც მე-60 წლი-

სთავის აღსანიშნავად პიონერული მარშიკ სვლაგეზების მიხედვით: გოგო-ბიჭები პირველივე დღეებში აცხადებენ, რაიი გაკეთება ალრთ ბანაკში, რა უფრო იტაცებთ, ალპორტი თუ ნატურალისტური მუშაობა. ცეცავ ტეტრხებათ. ალმეერა თუ ხატეა... ბანაკში ყოფნის დროს ყველა ნორჩი ლენინელი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს წვრილნა „წვრილნადზეკრული ეხივებია“ შედგენაში, პიონერული ოცნების ქალაქ „ᲛᲐᲮᲣᲠᲘᲡ“ შენებლობაში. ორივე ამ ოპერაციამ მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დიიკავოს ბანაკის რაზმეულის ძუშაობაში.

გვინდა გაგაცნოთ რეკომენდაცია, ომელიაც ვ. ი. ლენინის სახელობის აკავშირო პიონერთა ორგანიზაციის ცენტრალური საბჭო გვაძლევს ზაფხულის პერიოდისათვია.

პიონერთა ცხოვრება ბანაკში მჭიდროდ დაუკავშირდება რეკპუბლიკის კომუნიტებისა და კომკავშირელების. აკავშირო პიონერთა ორგანიზაციის ცხოვრებას. ამიტომ გეგმაში უნდა შეიტანოთ და სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოთ ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ჩვენი პარტიის და კომკავშირის რეკოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრა-

ᲐᲥᲢᲘᲕᲘ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიციების გაცნობას. ბანაკის ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მოეწყობა ექსკურსიები და ლაშქრობები ლენინურ ადგილებში, ლენინის მუზეუმებში, შეხვედრები სკკპ და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობების, საქართველოს კომკავშირის 32-ე და საკავშირო კომკავშირის მე-19 ყრილობების დელეგატებთან, მე-11 ხუთწლედის გმირებთან, პარტიისა და კომკავშირის ვეტერანებთან.

ზაფხულში თითოეული ასრულებს სასკოლო მუზეუმების საექსპედიციო შტაბის — „სსრ კავშირი ჩემი სამშობლოა“ — დავალებებს; მონაწილეობს ექსპედიციაში „დიდი სამამულო ომის მატიანე“.

ზაფხული მხატვრული, პოლიტიკური ლიტერატურის კითხვის საუკეთესო დროა. მიაკითხავთ ბანაკის ადგილობრივ ბიბლიოთეკას. კვალის-მაძიებლები წამოიწყებენ ოპერაციას „ვმირი შენს გვერდით ცხოვრობს“, დაანახებთ პიონერული დიდების კოცონებს, შეისწავლით იმ ადამიანის ცხოვრებას, ვის სახელსაც თქვენი ბანაკი ატარებს, ურთიერთობას დამყარებთ სოფლის პიონერებთან, მონაწილეობას მიიღებთ შრომით აქციებში. მოძებნით ბანაკის ყოფილ მუშაკებს, ჩაიწერთ მათ ნაამბობს. მოაწყობთ „ცისკრის“ პროგრამის შესაბამის სამხედრო-სპორტულ თამაშებს. იმ შემთხვევაში, თუ ბანაკის ახლოს მდებარეობს საამო საფლავები, ძეგლები და ობელისკები, მოუვლით მათ, საზეიმოდ აღნიშნავთ სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს და დიდი სამამულო ომის სამახსოვრო თარიღებს. შექმენით ბანაკში საბჭოთა არმიისა და მეზაღვრეთა ნორჩი მეგობრების რაზმები. გაეცანით, რომ კარგ სრულდება აკკპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებები. თითოეული პიონერი უნდა იცნობდეს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას, რომელიც მან 1979 წელს პიონერთა ბანაკ „არტეკში“ ნორჩ ლენინელებთან შეხვედრისას წარმოთქვა, აგრეთვე მისი ნაწარმოებების — „მცირე მიწია“, „აღორძინების“, „ყაზარისა“ და „მოგონებების“ შინაარს.

ბანაკში კვირაში ერთხელ უნდა მოეწყოს ჩვენს ქვეყანასა თუ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენათა მიმოხილვა. უნდა შექმნათ პიონერთა აგიტბრიგადები, რადიოცენტრები, პოლიტინფორმატორთა სამბჭოები, პოლიტიკური კლუბები: „მე ვხედავ მსოფლიოს“, „პლანეტა“. შეგიძლიათ გააფორმოთ სტენდები: „მსოფლიოს რუკაზე“, „მე-11 ხუთწლედის სიახლენნ“, „კვირის ქრონიკა“; სისტემატურად უნდა გამოუშვათ რაზმისა და რაზმეულის გაზეთები, „ელვა“ ფურცლები.

პატივისცემით მოეკიდეთ პიონერულ სიმბოლიკასა და რიტუალებს, განუმარტეთ პიონერებს მათი მნიშვნელობა. სათანადოდ გააფორმეთ რაზმეულის დროშისა და რაზმების ალმების, ბუკისა და დაფდაფის შესანახი ადგილები.

ბანაკს თავისი სამუშაო ობიექტი ექნება, თითოეულ რაზმს, რგოლს კონკრეტული შრომითი დავალება მიეცემა. დაუმეგობრდით ბანაკის ახლოს მდებარე კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, წარმოების კომკავშირელებს. ერთად მოაწყეთ ზეიმი „სამშობლო შრომით ვადიდოთ“, „ჩემი შრომა ერთვის ჩემი რესპუბლიკის შრომას,“ შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. აღნიშნეთ პროფესიათა ზეიმები, ჩატარებულ მუშაობაზე უპატაკეთ შრომით კოლექტივებს. იმუშაეთ ტექნიკური წრეებია და სახელოსნოებში, განსაზღვრეთ თვითიმმსახურების ფორმები. მოაწყეთ შაბათობები ბანაკის ტერიტორიაზე, საძიერ ოთახებში, სპორტულ მოედნებზე, სახელოსნოებში, სათამაშო მოედნებზე, მოაწყეთ ყაირათანთა რეიდები, გამოუშვით ცნობის ფურცლები: „მე-11 ხუთწლედის მიღწევები“, „ყაირათიანობა ჩვენს ირგვლივ“, ზეპირი ჟურნალი „ხუთწლედი — ჩვენ, ჩვენ — ხუთწლედს“ და სხვ. შრომითი ოპერაციები დროს გაშალეთ რაზმებს შორის სოციალისტური შეჯიბრება.

ბანაკში ყოველმხრივ დაეხმარეთ მხარი ნორჩ ლენინელთა თვისებებს, აამაღლეთ პიონერული თვითმმართველობის როლი, ბანაკის რაზმეულის საბჭოსთან შექმენით დროებითი გაერთიანებები, შტაბები და ა. შ. ეზიარეთ მშვენიერების სამყაროს, გაეცანით მშობლიური მხარის სიმდიდრეს, მის ისტორიასა და კულტურას, აქტიური მონაწილეობა მიიღეთ მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებებსა და ოლიმპიადებში...

ბანაკი ფიზიკური წრთობის კერაც არის. განუხრელად უნდა სრულდებოდეს მისი რეჟიმი. აქტიურად ჩაერთეთ ფიზკულტურულ-მასობრივ მუშაობაში, მონაწილეობა მიიღეთ სპორტულ ღონისძიებებში. ეს ყველაფერი კარგად აეწყობა, თუ ბანაკში გონივრულად იქნება მოფიქრებული თქვენი რაზმეულის, რაზმის სამუშაო გეგმები. პიონერთა ბანაკში დგება ცვლის პერსპექტიული და ყოველდღიური გეგმები, აგრეთვე წრეებისა და კლუბების, პიონერული აქტივის სწავლების გეგმები.

პიონერები ბანაკში ზრუნვას არ აკლებენ ოქტომბრელებს. ეს თითოეული თქვენგანის მოვალეობაა. არ დაგავიწყდეთ დაადგინოთ, ვინ არინ ჩამოსულ ოქტომბრელთა შორის სპორტსმენი, მომღერალი, ვის უყვარს წიგნები. დაეხმარეთ პატარებს, საინტერესოდ ააწყონ თამაში „ოქტომბრელები ოქტომბრის ქვეყანაში“.

ბანაკში მუშაობს პიონერული აქტივის სწავლების სკოლა შემდეგი კატეგორიებისათვის: რგოლის ხელმძღვანელებისათვის, რაზმის საბჭოს თავმჯდომარეებისათვის, რაზმისა და რაზმეულის საბჭოს წევრებისათვის. ხუ დაიზარეთ, იყავით ბანაკში პიონერული შრომისა და დასვენების კარგი ორგანიზატორები, მხარში ამოუდექით ბანაკის მუშაკებს! ზაფხულის დღეებში დაისვენეთ, გამოიწრთეთ ფიზიკურად, დაეუფლეთ პიონერული აქტივისტის მუშაობის საუკეთესო ჩვეულებს.

ნათელა ფაილოძე

ძველი საქმეები

ალექსანდრ
მირონიჩიანკო

მხატვარი
ზაურ ფეიხაძე

შანტაჟიანური მოთხრობა

ეს ერთი ხანია, ჩემი მეზობელი ბიჭუნა უცნაურად შეიცვალა. ადრე ამ მოუსვენარი, ინავარი ყმაწვილისათვის ტექნიკისა და ფეხბურთის გარდა ქვეყნად არაფერი არსებობდა, ახლა კი...

ამას წინათ ეზოში შემხვდა, გატიკინებული სასკოლო ფორმა ეცვა, პიონერული ყელსახვევი ეკეთა, თან ლამაზადაც ჰქონდა გამოკვანძული, და არა ისე, ადრე რომ მინახავს — ჰაიპარად გამოკვნილი და მოორეცილი... მაგრამ ეს არ არია მთავარი, მე იმან გამაოცა, რომ ხელში წიგნი ეჭირა — ისტორიის სახელმძღვანელო! ხუთი წელია ვიცნობ და ასეთი რამ არ მომხდარა! ბევრჯერ მინახავს ქანჩის გასაღებით, კოსმოსური ხომალდის მოდელთან, პლანერით ან ინჟინერ-კონსტრუქტორის ცნობარით... მაგრამ ისტორიის სახელმძღვანელო?.. დაუჯერებელია!

მერე იყო და, მამამისმა გამაკვირვა (თვითონაც შეფიქრიანებული ჩანდა): წინათ თუ მარტო ფიზიკასა და მათემატიკას სწავლობდა, ახლა ისტორიასა და ლიტერატურაშიც ხუთიანებს ღებულობსო...

თქვენ ალბათ შენიშნეთ, რომ ჩემი მეზობელი ბიჭუნას სახელი ჯერ არ მიხსენებია. საქმე ის არის, რომ, როცა იგი ყველაფერში გამომიტყდა, ყმაწვილმა სიტყვა ჩამომართვა, ხალხუმლო შემინახეთ, ჩემს თავა გადამხდარ ამბავს ნურავის მოუყვებითო.

მე კი მისი თავგადასავალი ფრიად ჭკუის სასწავლებელ ამბად მივიჩნიე და ამიტომ გადავწყვიტე თქვენთვისაც გამეგნდო. მაგრამ ბიჭუნაკათვის მიცემული სიტყვა რომ არ გავტეხო, შევუცვალო სახელს და ვასია სემიონოვს დავარქმევ, ხოლო მოსკოვის ერთ-ერთ ქუჩას, სადაც ეს ვასია ცხოვრობდა, ერქვას თუნდაც... თუნდაც შოკოლადის ქუჩა.

...საქტემბრის პირველი რიცხვებია. დიდ-პატარა ეზოში დგას, მხიარულად ანათებს მზე, ალერსიანი ეთო აძრიალებს ოქროშეპარულ ფოთლებს, სამოდ ჭიკჭიკებენ ჩიტუნები. სკვერში ბავშვები თამაშობენ, ბებიები ქსოვენ და ახალგაზრდობას იგონებენ.

უცებ სკვერში ბიჭი გამოჩნდა. მოღუშულსა და ავად თავდახრილს ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, ხალათი ამოსჩაჩოდა, ყელსახვევი მოღრეცოდა. ბილიზე ვიღაც უხეროსგან დაგდებულ კონსერვის კოლოფს ფეხი გაკარა და ქლიალით შეანარცხა ნეკერჩხალს. წამით ფოთლების შარიშური შეწყდა, ჩიტუნები გაისუსნენ, პაწია ფინიამ გაუბედავად წამოიყეფა და სკამქვეშ შეძვრა.

— ხულიგანი! — წარბი შეიკრა ერთ-ერთმა ბებიამ.

ბიჭს თავი არ აუწევია, უხმოდ მიეფარა თვალს.

არა, ეს ყმაწვილი ხულიგანი არ იყო, უბრალოდ, ძალიან ცუდ გუნებაზე გახლდათ: იმ დღეს ორიანი მიიღო ისტორიაში. დაიმსახურა და დაუწერეს.

არ იფიქროთ, თითქოს ვასია სემიონოვისათვის თვით ორიანის მიღების ფაქტს გაეფუჭებინოს გუნება. არა! ყმაწვილი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ნამდვილი პირმშო, სამაგალითო ტექნოკრატი გახლდათ — ძას სწამდა, რომ მეცნიერება და ტექნიკა ყველაფერზე ძალლა დგას. ვასიამ იცოდა, როგორ არის მოწყობილი სინქროფაზოტრონი, შეეძლო შეეკეთებინა ფერადი ტელევიზორი, იცნო ტრანზისტორული რადიომიმღები, მაგრამ ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა იმაზე, თუ როდის მოხდა კელეოკოვის ბრძოლა ან, ვთქვათ, როდის შეიქმნა „ამბავი იგორის ლაშქრობისა“. ვასია ასე მსჯელობდა: „რა საჭიროა შორეულ წარსულში ხელების ფათური? ჩვენ მყოფადზე უნდა ვიფიქროთ, ნათელი ხმამაღლისაკენ უნდა ვისწრაფოდეთ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გზით. რაც შეეხება ისტორიასა და ლიტერატურას...“ (აქ ვასია სემიონოვი მრავალმნიშვნელოვნად იჩეჩავდა მხრებს).

ამრიგად, ჩვენს ნორჩ ტექნიკოსს ისტორიაში მიღებული ორიანი იმდენად არ აწუხებდა, რამდენადაც ის საყვედურიანი მზერა, რომელსაც მოსიყვარულე ბებია შეანთებდა ერთადერთ ვილიშვილს (ძშობლები ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყვნენ კურორტიდან). ვასიას თითქოს ნესტოებში შეუღიტინა ვალერიანის წვეთების ნაცნობმა სუნმა.

იქნებ სადმე გადამალოს დღიური? მაგრამ სად? ან როდემდის?

ვასია თავის ეზოში შევიდა. ძველი ტიპური მოსკოვური ეზო ფყო. ეზოს კი არა, უფრო ღრმა ოთხკუთხა ჭას ჰგავდა, მრავალსართულიან შენობათა უკანა კედლებს შორის მოქცეულს. ზაფხულშიც კი ვერ აღწევდა მზის სხივები ამ ჭის ფსკერამდე. ეზო თითქმის მუდამ ცარიელი და უკაცრიელი იყო. ზოგჯერ ვასიას უცნაური გრძნობა იპყრობდა ხოლმე: ამ ბინდიანსა და ნესტიან ჭაში დრო ადგილზე დგაა და წინ არ მიედინებაო...

ბიბმა ცალი თვალით ახედა თავის ფანჯარას და ეზოს სიღრმეში შევიდა. აქ, შემპჭყარ იასამნის ბუჩქებს შორის, ძველისაშელი საქანელა იდგა, იმდენად ძველი, რომ მასზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხნის წინათ, თავისი ბავშვობისას. ბებიაც კი ქანაობდა თურმე. საქანელა რკინისა იყო, ათაობით ბავშვის ხელის შეხების ადგილას ლითონი ფოლადისფრად ლაპლაპებდა. ვასია გლუვ ფიცრის სკამზე ჩამოჯდა, გრილ რკინა სახელურებს თითები მოხვია, მიწას ფეხი დაჭერა და ნელა გაქანდა.

„ეემონოვ! — ისევ ჩაესმა ისტორიის მასწავლებლის ხმა. — ადამიანი, რომელიც არ სწავლობს თავისი სამშობლოს ისტორიას, ვერასოდეს ჭეშმარიტად ვერ შეიყვარება მაშუის და მისი გულისთვის ვერასოდეს ჩაიდენს იაეთ გმირობას, როგორიც გასტელომ. ტალალიხინმა, მატროსოვმა ჩაიდინეს“!

„მე?! — გულში შეედავა ვასია. — მე, ვისაც მამა ოფიცერი მყავს, პაპა კი ომში დამეღუპა, — მე ვერ ჩავიდენ გმირობას?!“

და უცეტ გულში უსიამო ფიქრმა გაჭკრა. თვალი იმ ძელკამისკენ გაექცა, წელან თავისი ჩანთა — ოფიცრის პლანშეტი რომ დადო. „იცოდე, — გააფრთხილა მამამ პლანშეტის ჩუქებისას, — ამაში სამიანმა არ უნდა გაიჭაჭანოს!“ ვასიამ კი სამიანი კი არა, გრძელკუდა ორიახი გარტყა. „ეჰ! — ბიჭმა ღრმად ამოიოხრა, მივიდა, პლანშეტიდან დღიური ამოიღო და გაშალა. კალმის ბრაზიანი მოსმით მოხაზულმა ბარაქიანმა ორიანმა ურცხვად ამოხედა ვასიას. „არა, გეთაყვა, მეთაურის ჩანთაში არ არის შენი ადგილი! მორჩა!“ ყმაწვილმა მიიხედ-მოიხედა, იქნებ საფმე გადაკმალოო, მერე ხელი ჩაიქნია და ისევ საქანელას დაუბრუნდა.

„ეჰ, — ოხვრაა გული ამოაყოლა ვასიამ. — ძალზე გვიან დავიბადე. აბა ერთი ამამაკო ომში ვყოფილიყავი... ყველაა დავუმტკიცებდი, შემიძლია თუ არა გმირობის ჩადენა“.

და ვასია გაჰყვა ოცნების ფრთებს... აი, იგი არ შეუშინდა მტრის ცეცხლს, წამოხტა და იერიშზე გაიყოლია ასეული... აი, მისმა თვითმფრინავმა დაბომბა და დაანგრია მტრის ბუნაგი... საპაერო ბრძოლაში გაანადგურა მთელი ეკადრილია... აი, ვასია მკერდით აეფარა მოწნაალმდგომა ტკიცამფრქვევის ამბრაზურასა... ჰოდა, ამის შემდეგ გავიდა მთელი ორმოცი წელი. ერთ დილით მისმა თანაკლასელებმა გაზეთში წაიკითხეს საბჭოთა კავშირის გმირის, პოეზერ ვასილ ეემონოვის მამაცობაზე, გაკვირვებულებმა მიიხედეს მისი მერხისკენ და პირი დაღაღეა. როცა იქ არავინ დახვდათ.

„კი მაგრამ, როგორ უნდა მოვხვედე ომის წლებში?“

აქ უნდა მოგაგონოთ, რომ ვასია ფრიად გახსწავლული იყო მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალ დარგში, ამიტომაც —

— საქანელა! ძველი საქანელა! — ხმამაღლა შეაყვირა ძან. — აი, რას შეუძლია დამბრუნოს წარსულში!“

მართლაც, საქანელა ხომ იმ დღეების მოწმეა? მაშასადამე, როგორღაც ახლაც უკავშირდება წარსულს. მაგრამ როგორ? რა გზით? რანაირად?.. და უცეტ ვასია მიხვდა: როცა საქანელაზე ჩვეულებრივ ქანაობ, დრო წინ მიდის, რაც უფრო სწრაფად გაქანდები, მით უფრო სწრაფად მიდის დრო, ისე სწრაფად, რომ ხან სადილზე დაიგვიანებ, ხან სკოლაში. ის კი არა, ხან „გაბაფხულის ხვიდეტი გაელვებს“ მორიგ სერიაზეც კი დაგაგვიანდ[illegible]

„მაშასადამე, — დაასკვნა ვასიამ. — საქანელა [illegible] არ უნდა გაიქანო, არამედ უკან, და მაშინ დროც უკან დაიხევს! ვაშა!“

ვასილ ეემონოვი ჩამოხტა, საქანელა რაც შეიძლებოდა წინ გასწია, მერე რკინის სახელურებს ჩაეჭიდა და როცა უკან გამოქანდა, ისევ შეახტა ზედ. თავდაპირველად გაუჭირდა უკან ქანის მიცემა, მაგრამ მერე შეეჩვია და საქანელაც აჩქარდა.

ეზოში თანდათან იასამნისფერი ბინდი ჩამოწვა. სკვერის მხრიდან გაურკვეველი ხმაური მოისმოდა. ყურებში ქარი ზუზუნებდა. ვასიას თავბრუ დაეხვა, გული აუჩქარდა, ეგონა ვვარდებიო. ამიტომ საქანელა დამუხრუჭებას შეუდგა და ბოლოს, როგორც იქნა, გაჩერა. ძლივლივობით ჩამოცოცდა, დღიური იღლიაში ამოიდო და ძელსკამისკენ წალასლასდა, მაგრამ შუა გზაზე შეჩერდა. პლანშეტი ალარაად იყო.

„ალბათ ვიღაცამ წაიღო! — ეწყინა ვასიას. — წამით თავბრუ რომ დამეხვა, ალბათ მაშინ... რა უსინდისობაა...“

რა ექნა, ხელი ჩაიქნია და სადარბაზოსკენ გასწია. იცოდა, რომ ახლა დაგვიანებისთვისაც მიიღებდა საყვედურს.

ვასიამ დღიური უბეში ჩაიდო და ცივ, ბნელ სადარბაზოში შეაბიჯა. „ნთურა იაეკ გადამწვარა“, — გაიფიქრა უკმაყოფილოდ. „მაგრამ მგონი სხვაგანაც არ უხთიან შუქი. ნეტავი რომელი საათია?“ ბიჭი უკან გამობრუნდა, ზემოთ ახედა, ფანჯრები მოათვალიერა და გაქვავდა: ყველა მინისთვის ‹ვარდინად› დაეწებებინათ ქაღალდის ზოლები! ვასიას დოკუმენტურ ფილმებში ნახახი ჰქონდა, რომ ომისდროინდელ მოსკოვში მოსახლეობა ასე აკეთებდა, რათა ფანჯრები აფეთქებით გამოწვეული დაკვრითი ტალღისაგან გადაეჩინათ... მაშასადამე...

მაშასადამე, ცდა წარმატებით დაგვირგვინებულა: პიონერმა ვასილ ეემონოვმა ომიდროინდელ, 1941 წლის მოსკოვში ამოჰყო თავი! ვაშა!..

ვასია ძელკამს დაუბრუნდა და დაფიქრდა. მისი მთავარი სურვილი ფრონტის ხაზზე გავლა იყო, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ პირველსავე გზაჯვარედინზე პატრული დააკავებდა. ან რის გაკეთება შეუძლია ფრონტზე, თუნდაც ავტომატი, თუნდაც ტყვიამფრქვევი რომ ჩაებარონ?.. იქნებ სხვაგვარად გამოადგეს ამშობლოს?.. ძართლაც, განა ცოტა რამ იცის მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში? თუნდაც...

თუნდაც... მან ხომ იცი, როგორ არის მოწყობილი ატომური ბომბი!

ვასიას წამით შეეშინდა კიდეც. მაშასადამე, მაა, მეექვსეკლასელ ვაილ ეემონოვს, შეუძლია შეცვალოს ომის მსვლელობა, გადაარჩინოს მილიონობით ადამიანის სიცოცხლე... ერთი ატომური ბომბის აფეთქება ფაშიზმის კერაში და — ომიც დამთავრდება!..

„პაპაც გადარჩება, ის ხომ ორმოცდაოთხში დაიღუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პა. — ვასიას სიხარულის ცრემლები მოაწვა. — ბებიაც აღარ დაავადმყოფდა!“

პოინერი ვაილ სემოონოვი სკვერიდან გამოვიდა და არ შემცდარა — პირველსავე გზაჯვარედინზე იგი პატრულმა შეაჩერა. სამნი იყვნენ.

— სათ გაგიწვეია, ბიჭიკო?. — ჰკითხა ერთმა, უფროსმა ხნოვრმა, ულვაშა წითელარმიელმა. — არ იცი, რომ ღამით ქუჩაში სიარული არ შეიძლება? ბბა ბასწი შინისაკენ?

— შინ ვერ წავალ! — თავმაძაღ მიუგო ვასიამ. — გთხოვთ, თქვენს მეთაურთან მიმიყვანოთ.

— მეთაურთან? — ჩაეკითხა წითელარმიელი.

— დიახ. გენერალი უნდა მაჩვენოთ!

— აუცილებლად გენერალი გინდა? — ულვაშამ ჩაიღიმა და თანამებრძოლებს გადახედა.

— დიახ, გენერალ! — მტკიცედ გაიმეორა ვასიამ.

— რისთვის?

— ამას ვერ გეტყვით. პირადად უნდა მოვახსენო, სახელმწიფო საიდუმლოებაა!..

ვასიას ცოტა გაუკვირდა კიდეც, რომ დაუჯერეს, მაგრამ ულვაშა წინ გაუღიცა და ოცოიდე წუთის შემდეგ ბინაში თავდაცვის სახალხო კომისარიატში მიიყვანეს. სახელნაირეგმა მაიორმა ვასიას საშვი გამოუწერა—რუხი ნაცრისფერი ქაღალდის კვადრატზე რამდენიმე სიტყვა დაწერა, კიდევ ხუთი წუთის შემდეგ კი ყმაწვილს უზარმაზარი კაბინეტის კარი გაუღეს და შიგ შეიპატიჟეს.

გრიელ საწერ მაგიდასთან მხარბეჭიანი სამხედრო იჯდა. ვასიას შესვლისთანავე იგი წამოდგა და მისკენ წამოვიდა. საოცრად ხაინი ნაცნობი სახე ჰქონდა („დოკუმენტურ ფილმებში მინახავ... ნუთავი ვინ არის?“ — გაუელვა ვასიას).

— გამარჯობა, ვაკაცო! — ბოხი, მაგრამ ალერსიანი ხმით თქვა გენერალმა. — აბა, აქეთ მოდი და მიამბე, რა სამხედრო საიდუმლოებაც მოგიტანია. — მხარზე ხელი მოხვია და მაგიდასთან სავარძელში ჩასვა. თვითონაც მის გვერდით დაიდგა სკამი. ბიჭმა მზერა ჰკიდა — გენერალს ძლიერი, დამარღვული მუშური ხელები ჰქონდა. — აბა, გისმენ.

ვასილ სემოონოვმა გზაშივე მოიფიქრა, როგორ წარედგინა საუბარი ისე, რომ მისთვის დაეჯერებინათ. ამიტომ ქაღალდის ფურცელი და ფანქარი მოითხოვა. და როცა, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა გენერალმა თხოვნა შეუსრულა, ვასიამ ქაღალდზე აწრაფად დახატა საბრძოლო მანქანა, რომელსაც ახლა „კატიუშას“ სახელით ვიცხობთ, ხოლო გვერდით ელვის სიფრაფით ჩამოწერა ამ მრიხანე რეაქტიული ნაღმსატყორცნის ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები.

გაკვირვებული გენერალი წამოდგა:

— საიდან იცი? — იკითხა მკვახედ და ხმაში ხრინწი გაერია.

პასუხის ნაცვლად ვასიამ ფურცლის კუთხეში ორი სიტყვა დაწერა: „ფლეროვი. ორშა“.

გენერალი, ალბათ, არასოდეს ასე არ განცვიფრებულა: კი მაგრამ, საიდან, რა გზით შეიტყო ეს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო საიდუმლოება ამ პოინერმა?!.

ამასობაში ვასიამ მეორე გვერდზე მძიმე ტანკი „ტანკ“ ხატა და ქვევით წაუწერა: „ეროზეფ კოტინი — ტანკის კონსტრუქტორი, სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარის მოადგილე“.

ახლა კი გენერლის გაკვირვებას, როგორც იტყვიან, მართლაც აღარ ჰქონდა საზღვარი. ტანკი — ტანკად, მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატი ჯერჯერობით მხოლოდ პროექტში, ქაღალდზე არსებობდა, კოტინი მხოლოდ კანდიდატურა იყო მოადგილისა, და ყოველივე ეს ამჟამად № 1 სახელმწიფო საიდუმლოებად ითვლებოდა!.. მაშ რა მოხდა? როგორ გაიგო ამ ბიჭმა ამდენი რამ?!.

— კმარა! — გენერალმა მსუბუქად, მაგრამ მტკიცედ დაკაკუნა ხელი მაგიდას. — ვინ გაგგეცა? ვინ არის მოღალატე? მიპასუხე, სწრაფად!

ვასიამ დაბნეულად გაიღიმა. მაგრამ მაშინვე აისხიპა ღიმილი, წამოდგა და ხელები ჩამოშვა.

— არა, ამხანაგო გენერალო! აქ არავითარი ღალატი არ არის. ყოველივე ეს იმიტომ ვიცი, რომ შორეულ მომავალში, საიდანაც მე მოვედი, ამდენივე იცის ყველა პიონერმა, ვინც „ტექნიკა-მოლოდიოეიკა“ კითხულობს.

„რას ამბობს ეს ბავშვი? — გაიფიქრა გენერალმა. — მომავლიდანო? თუმცა, იქნებ არა ტყუის? ვინ იცის, რა დონემდე განვითარდება მეცნიერება და ტექნიკა 30, 40, 50 წლის შემდეგ? ადამიანის შესაძლებლობებს ხომ საზღვარი არა აქვს!.. ჰო, ალბათ მართლაც ასეა, თორემ ბბა საიდან უნდა გაეგო ამ თითისტოლა ბალღს ორი პირველხარისხოვანი სახელმწიფო საიდუმლოება?“

— რით დამიმტკიცებ, რომ... მომავლიდან მოხვედი? — თვალები მოჭუტა გენერალმა.

— რითი? — გაკვირვებულა იმედგაცრუებულმა ვასიამ. მას ეგონა, გენერალი უკვე დავარწმუნეო, და ახლა ცოტათი დაიბნა კიდეც. მაგრამ მაშინვე გონს მოვგო — დღიური გააახსენდა. წამით შეყოყმანდა. „რაც არის, არის, — გადაწყვიტა ბოლოს. — წუთით შევრცხვები, სა. მაგიეროდ...“ და დღიური, რომელიც აქამდე იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი, გენერალს გაუწოდა.

„1981-82 სასწავლო წელი“. — ეწერა დღიურს.

გენერალი მცირე ხანს უხმოდ დაჰყურებდა რუხგარეკანიან რვეულს. მერე გაშალა, გადაფურცლა და ბოლო ჩანაწერთან შეჩერდა.

— ეჰე, — ჩაილაპარაკა წყენით. — ეს რა მოგსვლია, ძამიკო?..

ვასია გაწითლდა და თავი ჩაღუნა.

— ჩვენ აქ თქვენი ბედნიერებისათვის კიბრძვით, კეთილი და ნათელი მომავლისათვის სისხლსა ვღვრით, ათასობით ვაკაცი ფრონტზე იღუპება, შენ კი...

გენერალმა ვასიას შეხედა, რომელსაც ატირებას აღარაფერი უკლდა, და შეეცოდა:

— ჰო, კარგი, კარგი... შენ ის მითხარი, რით მოხვედი მომავლიდან, რა მოგვიტანე?

ვასილ სემოონოვი ცოტა გამოცოცხლდა:

— შეიძლება კიდეკ ერთი ფურცელი?

გენერალმა მიაწოდა და მოთმინებით ელოდა, ვიდრე

უცნაური სტუმარი ხაზვას დაამთავრებდა. ბოლოს ვასია მორჩა და გენერალს ფურცელი გაუწოდა.

— მზად არის!

გენერალი ერთ ხანს დაკვირვებით ათვალიერებდა ნახაზს. ბოლოს წელანდელივით თვალმოუუტულმა იკითხა:

— რა არის ეს?

— ეს ატომური ბომბია!

—ატომური ბომბი?

— დიახ. უდიდესი დამანგრეველი ძალის მქონე იარაღი. ახლა, 41-ში, იგი ჯერ კიდევ არავის არა აქვს. 1945 წლის აგვისტოში კი, მას შემდეგ, როცა ჩვენ ფაშისტურ გერმანიას დავამარცხებთ, ამერიკელები დაბომბავენ იაპონიის ორ ქალაქს. თითო ბომბით ორივე ქალაქს მიწასთან გააქარწყლებენ.

— რას ამბობ?! თითო ბომბით?!

— დიახ! თითოეულია სიმძლავრე ხომ 20 ათასი ტონა ტროტილის აფეთქების სიმძლავრეს უდრის! აი, ერთი ათეთი ბომბი რომ გერმანიის დედაქალაქში ჩამოგვაგდებინა. ფაშიზმის ბუდე წამში ფერფლად გადაიქცეოდა...

— მოიცა, მოიცა, რაება ლაპარაკობ? ეს ხომ უზარმაზარი ქალაქია, სადაც ათიათასობით ბავშვი, ქალი, მოხუცი ცხოვრობს? გარდა ამისა, იცი, ბერლინში რამდენი ანტიფაშისტია? არ გეცოდება ისინი, ყველანი უნდა ამოვხოცოთ?

— მეცოდებიან, მაგრამ... ფაშისტები ინდობენ ვინმეს?

— არ ინდობენ, — დაეთანხმა გენერალი. — მაგრამ ჩვენ ხომ ფაშისტები არა ვართ?

ვასიამ ისევ ჩაღუნა თავი, გენერალმა კი განაგრძო:

— ამას ვერასოდეს ვაპატიებდით საკუთარ თავს... არც ახლები მოგვიწონებდნენ... მაგრამ კარგი, მოვეშვათ ამას. შენ ის მითხარი, როდის დამთავრდება ომი?..

ვასიი დიდხანს და გატაცებით ლაპარაკობდა. უამბო გამარჯვების ზეიმზე, ბედნიერ ხვალინდელ დღეზე, მძლავრ სოციალისტურ ბანაკზე, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურსა და სამხედრო ძლიერებაზე...

— მაშასადამე, ამაოდ არა ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე!— გაუხარდა გენერალს, წამოდგა და აღელვებულმა გაიარ-გამოიარა კაბინეტში. მერე მაგიდასთან მივიდა, საფანქრიდან მსხვილი წითელი ფანქარი ამოიღო და რაღდენიმე სუფთა ფურცელთან ერთად ვასიას წინ დაულაგა. — მე მგონი, შენ მთის ცეგიანი დიდი დახმარება გაგვიწევ. აბა, ერთი მარდად ჩამოწერე, რომელი დიდმნიშვნელოვანი ბრძოლები გველის წინ!

„აუ! — გულში აღმოხდა ვასიას და შუბლი ოფლით დაეცვარა. — ახლა კი ჩავიჭერი!... ზოგი რამ კი მახსოვს, მაგრამ...“

— გერმანელების განადგურება მოსკოვთან, — დაიწყო გაუბედავად. — მერე სტალინგრადის ბრძოლა... მერე ბრძოლა კურსკის რკალზე...

— რას გაჩუმდი? მორჩა?

— არა. მერე ბელორუსიის ოპერაცია... ბერლინის ოპერაცია...

— მაშ, ბერლინის ოპერაცია, ხომ? უჰ, შენი ჭირიმე! მაგრად ყღერს, ა?..

ვასია გულში ლანძღავდა თავისთავს იმის გამო, [illegible] ისტორიის გაკვეთილზე „იუნი ტეხნიკა“ კიბოს [illegible] სქემებს უყურებდა... მართალი იყო მარია ივანოვნა — ყველაფერს თავისი დრო აქვს...

— კარგია, — დაასკვნა გენერალმა. — ახლა თარიღები დამისახელე! როდის მოხდება ყველაფერი ეს?

— მოსკოვთან, მგონი, დეკემბერში გავიმარჯვეთ... ჯერ კიდევ მაგარი ყინვები იდგა...

— მგონიო?.. რაო, ზუსტად არ გახსოვს? კარგი, მაშინ ეს მითხარი, რა მიმართულებით მიდიოდა მათი მთავარი დარტყმა?

— მოსკოვის მიმართულებით...

— ეს ცხადია, — მოუთმენლად შეაწყვეტინა გენერალმა, — ეს ხომ სტრატეგიული მიმართულებაა. მე კონკრეტული ცნობები მაინტერესებს — რომელი დაასახელებული პუნქტების გაელით, რა ძალებით? რა გველის ორპოლდიერთის სექტემბერსა და ოქტომბერში? სად ჯობს გამაგრება და კონტრშეტევა?

თითოეული შეკითხვა მძიმე ტვირთად აწვებოდა ვასილ სემიონოვის ჯერ კიდევ ნორჩ გამხდარ მხრებს. ნეტა იატაკი გამისკდეს და თან ჩამიტანოსო, — ფიქრობდა და ლოყები სირცხვილით ეწვოდა. უცებ ერთი თარიღი გახსენდა:

— კურაკის ბრძოლა დაიწყო 1943 წლის 5 ივნისს...

— ჰოო, — დანანებით ამოიხვნეშა გენერალმა. — არცთუ მთლად უხვი გამოდეკი, ჩემო ვასია, შეგეძლო დიდი სამსახური გაგიწია სამშობლოსათვის, შენ კი... მაგრამ კარგი, მოვეშვათ ამას, რაც გვაცნობე, იმითვისაც ძალლობელი ვარ.

გენერალი ვასიასთან მივიდა. ბიჭი წამოდგა. მხრებჩამოყრილი, თავდახრილი იდგა.

— არა უშავს, ვასილ სემიონოვ, ცხვირი ნუ ჩამოუშვი. ჯერ ყველაფერი წინა გაქვს. ყველაფრის გამოსწორებას მოახერხებ. აბა, მოიტა ხელი!

ვასიამ ხელი გაუწოდა. მიაჯ მუშტი მთლიანად ჩაიმალა გენერლის ვეება თითებში.

— ისტორია კი კარგად უნდა იცოდე, ამბავი. ფრიად მნიშვნელოვანი მეცნიერებაა, მგონი თავადვე დარწმუნდი ამაში, არა?

გენერალმა ზარის ღილაკს თითი დააჭირა. შემოვიდა პატრული უფროსი, ის ულვაშა წითელარმიელი. წელას ვასია აქ რომ მოიყვანა.

— ამხანაგო ზემდეგო! მიიყვანეთ ამხანაგი სემიონოვი იქ, სადაც თვითონ გეტყვიან!

— არის, ამხანაგო გენერალო!

— თუმცა, მოიცათ. მე თვითონ გამოგაყვებით გასასვლელამდე. ვასია სემიონოვმა დაიმახსოვრა ეს...

მძიმე ფიქრებით დატვირთული მიაბიჯებდა ვასია ჩაბნელებული, თითქმის ფრონტისპირა მოსკოვის ქუჩებში. ამ ფიქრებში გართულმა ვერც კი შენიშნა, როგორ გაიარეს შოკოლადის ქუჩა და იმ თაღის ქვეშ აღმოჩნდნენ, რომელიც მის ეზოში შედიოდა.

დასასრული ჯვ-ე გვერდზე

ლარეჯან შილდელი

პაატანგ სიდამონიძე

დარეჯან შილდელი კახეთის სოფელ შილდაში დაიბადა და აღიზარდა. გოგოობაში თანატოლ ბიჭებთანაც კი ერთობ თამამი და გამბედავი იყო. სწავლობდა ფარიკაობას, მშვილდ-ისრის სროლას; ხმალ-ხანჯალსაც კარგად ხმარობდა, ცხენით ჯირითში ხომ ტოლს არავის არ უდებდა.

დარეჯანს ბავშვობიდანვე სასიყვარულო სახელს — დარეჯოსაც ეძახდნენ. ეს სახელი მას სიკვდილამდე შერჩა და არა მარტო მის სოფელში, არამედ მთელ იმ მხარეშიაც გაისმოდა.

კახეთში ყვარლის მთების გზით ხშირად იჭრებოდნენ მოთარეშე ლეკები, სოფლებს ცეცხლს უკიდებდნენ, მოსახლეობას აწიოკებდნენ, სარჩო-საბადებელს ტაცებდნენ, ეძებდნენ ოქროს, ვერცხლს, სპილენძს, ხოცავდნენ ყველას, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა; მიჰყავდათ ტყვეები, ქალი და კაცი, ბავშვებიც კი, იმ იმედით, რომ ტყვეების გამოსასყიდად ქართველები არაფერს დაიშურებდნენ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც კი, თუმცა საქართველოსა და დაღესტნის საზღვარი გამაგრებული იყო რუს-ქართველთა მებრძოლი რაზმებით, აქა იქ, ხეტუეებში, მთის ციწროებში, საშოვარს დახარბებული ლეკები მაინც ახერხებდნენ საზღვრებში შემოჭრას და კახეთის სოფლების აკლება-აწიოკებას. ამიტომ ალბი სულ შიშინობაში, ომში ან მის მოლოდინში იყო.

ერთხელაც ყვარლის მხრიდან სოფელ შილდას ცხენოსან ლეკთა თარეში დაეცა. ბრბომ პირველსავე სახლს ცეცხლი წაუკიდა. ისინი ფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი საქანელა

— მოვედით, ამხანაგო პიონერო! — ზემდგომს ხელი აუღო ვასიამ. — ნახვამდის! — შებრუნდა და თანმხლებ წითელარმიელებთან ერთად სიბნელეს შეერია.

მარტოდ დარჩენილი ვასია უხალისოდ წოლასლასდა საქანელასკენ. ბიჭს გულს ეორღნიდა დარდი იმის გამო, რომ მისმა ცალმხრივმა გატაცებამ ვერაფერი არგო სამშობლოს უმძიმეს დღეებში. მაშასადამე, ქვეყანას რომ გამოადგე, თურმე ყოველმხრივ განვითარებული, ერთიანი, ძლიერი პიროვნება უნდა იყო...

საქანელა ჭრიალით დაიძრა. მერე ნელ-ნელა მოუმატა სიჩქარეს, მისი რხევის ამპლიტუდა თანდათან გაიზარდა, ყურებში ქარი აწივლდა, ვასიას თავბრუ დაეხვა, გარემოს ბინდი გადაეფარა...

მსუბუქმა გულისრევამ გაუარა თუ არა, ბიჭმა თვალი გაახილა. მწუხრი ჩამოწოლილიყო. ფანჯრებიდან სინათლე იღვრებოდა სადღაც „აბბა“ მღეროდა მთელი ხმით თავის ხალისიან სიმღერას.

„დავიგვიანე, ბებია გამიჯავრდება, — გაიფიქრა ვასიამ. წელი და ფეხები სტკიოდა, კუნთები თითქოს გახევებოდა. — ჩემს სიცოცხლეში პირველად დამეძინა საქანელაზე. სიზმარიც რომ ვნახე? თანაც უცნაური სიზმარი...“

პლანშეტი იქვე იდო, ძელსკამზე, სადაც დატოვა. ძბარზე გადაიკიდა და სადარბაზოში შეაბიჯა. ბეტონის ჭერქვეშ მხიარულად კაშკაშებდა ელექტრონათურა. ბინის კართან გაახსენდა, რომ დღიური უბეში ედო. აძოიღო და იმავე წამს კარიც გაიღო. ზღურბლზე ბებია იდგა.

— სად დაიკარგე, შვილო? რას გამიხეთქე გული? — უსაყვედურა მოხუცმა და ამ დროს ხელში დღიური დაუნახა შვილიშვილს. — შემოდი, რას უდგეხარ. რაო, ხუთიანით უნდა გამახარო?

ვასიამ რაღაც წაიბუტბუტა და ოთახში შეეგო. პლანშეტს რომ იხსნიდა, შემთხვევით დღიურს გამოსდო და ძირს დაუვარდა. დღიური გადაიშალა და იქიდან პატარა რუხი კვადრატული ქაღალდის ფურცელი გამოვარდა. ბიჭმა ჩაიჩოქა, ფურცელს დასწვდა და ლამის გული გაუჩერდა:

ეს იყო თავდაცვის სახალხო კომისარიატის საშვი, გამოწერილი ვასილ სემიონოვის სახელზე 1941 წლის 9 სექტემბერს...

...თქვენ იტყვით, დაუჯერებელი ამბავიაო, ხომ? დიახ, ბატონო, გეთანხმებით. მაგრამ მე საკუთარი თვალით ვნახე ის საშვი. და რომ საბოლოოდ დავრწმუნებულიყავი, წავედი თავდაცვის სამინისტროში და გადავიკითხე 1941 წლის სექტემბერში თავდაცვის სახალხო კომისარიატში მომსვლელთა სარგისტრაციო წიგნი. ჰოდა, იმ წიგნში ასეთი ჩანაწერი აღმოვაჩინე: „სემიონოვი ვ. ი. შესვლის დრო 21 საათი და 50 წუთი“. გამოსვლის დრო კი აღნიშნული არ არის! ვერც იქნებოდა, იმიტომ რომ ვასია გასასვლელამდე თვით გენერალმა გააცილა!..

აი, როგორც ხედავთ, ასეთი ძმიმე გამოცდის წინაშე დააყენა პიონერი ვასილ სემიონოვი ძველმა საქანელამ.

თარგმნა ბ. რუსაიძემ

სარჩევი

ბელაშვილი მ. — ხიდი ძმურ ერთა შორის (ნარკვევი) . . 3
რუსუა ი. — თუბალთხეთის საიდუმლოება (მოთხრობა) . . 5
სულეიმანოვი — ნ. — ხიყვარული (მოთხრობა) 10
ზია ჰ. — დედები (ლექსი) 11
ბაჯაური თ. — ძვირფასი განძი (ლექსი) 12
მანსურაზადე ა. — კონცერტი (მოთხრობა) 12
მორდასოვი — ძველი წლის ბოლო დღე (ლექსი) 12
შიხამირზეა რ. — ველოსიპედი (მოთხრობა) 13
ხანდანი რ. ზ. — ჩემს აიდანა გოგონას (ლექსი) 13
ვიქტორინა „მეგობრობა გზად და ხიდად“ 14
ფალაბაგორიძე ო. — წიგნი; ნია; ნატერის ლექსი (ლექსები) . 16
ანეკდოტი 17
კაპიტალის სამყაროში 21
ანეკდოტი 22
მირზოევი ისაევა ვლ. — ძველი საქანელა (მოთხრობა) . . 24
ციდამონიძე ვ. — დარეჯან შილდელი (წერილი) 29
კოტანიძე ნ. — მატადორის პატარა ჭალის წითელი კაბა (მოთხრობა) 30
ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. 2
ფოიუხინ მიღმა . . . . . გარეკ. 3

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა მანანა მორჩილაძისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ ბოცვაძე, ავთანდილ ბურჩენიძე, დოდო ვაშაკაძორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი კლიბაძე, რობერტ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანავა, სიმონ შაფრანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეფიროული, ზურაბ ჭეკერიკაბაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 23. 04. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 7. 06. 82 წ., ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. ხაარრცხეთ-საკავშირ. ... ... 5,35, შეკვ. 1085 ტირ. 151500 ეგზ. უე 06298.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებიან. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Формат 60×90 1/8, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35. Тираж 151.500 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი“, 1982 წ.

კომბინირებული თავსატეხი-კროსვორდი



თარაზულად

1. ქალაქის მეორადი ნედლეული; 9. ქალაქი პალესტინაში.

ზვეულად

1. ძველი მსოფლიოს უდიდესი მხედართმთავარი IV საუკუნეში ძვ. წელთაღრიცხვით; 3. ქალაქი ინდოეთში, გუჯარათის შტატის ცენტრი.

დიაგონალურად

(ზევიდან ქვევით, მარცხნიდან მარჯვნივ)

1. ტრანსპორტის სახეობა; 2. 3-4-ანძიანი, ერთგემბანიანი იალქნიანი გემი; 3. გეოდეზიური ხელსაწყო; 4. საქონლის ჩასაწყობი ჭურჭელი ან შესაფუთავი მასალა; 6. ერთგვაროვანი მყარი სხეული, რომელშიც გარკვეული წესით დალაგებული ატომები ქმნიან სივრცობრივ უჯრედებს სწორი მრავალწახნაგების სახით; 7. მდინარე ზრასის მარჯვენა შენაკადი; 8. ცნობილი ინდოელი სახელგანგმოდგული. ყოფილი პრემიერ-მინისტრი.

შაშის ამოცანა

თეორები იგებენ 4 ხვლაში

თეორები: მარბილი — h6

შაშები — b4, c1, d2.

შავები: მარბიელი — h8

შაში — b6

ალ. გოლგიშვილი

ვეცდმის ბანაგრება

ჩვენი ეუროპალის მე-[illegible] ნომერში კროსვორდის პირობაში გამოტოვებულია: „18. ქალაქი დალეტანის ახსრ-ში, კახეთის ზღვის პირას".

პასუხი № 5-ში მოთავსებულ „სხვადასხვაზე"

კროსვორდი

თარაზულად: 3. დოლომიტი; 4. რენტგენი; 8. გალილეი; 9. დარიალი; 13. ამერიკა; 15. ქვიბერი; 16. ავსტრია; 17. ანანასი; 21. ტრიესტი; 22. ურუგვაი; 23. სიხარბე; 26. კლიენტი; 27. ანატომია; 28. ინტრუზია.

ზვეულად: 1. ნიადაგი; 2. ინერცია; 5. ანდამატი; 6. მაგრია; 7. გვირაბი; 10. ლიფსიტა; 11. სენიორი; 12. გრანიტი; 14. ფუსაიფი; 18. დერბენტი; 19. სეილეში; 20. ხაბურავი; 24. აკლდამა; 25. ეიკარტი.

ვინ მოისაზრებს?

საკმე ის არის, რომ მდინარეს ორი კაცი ერთი ნაპირიდან მიადგა, ორიც — მეორიდან. ამოცანის კითხვაა ეშმაკურად დასმული და ამომხსნელს სწორედ ეს უნდა შეემჩნია.

რომელი მოერგება?

თეთრ წრეს მოერგება 3, 5, 6, 10, 11, 12 ბურთები.

გამოცანები

ხამშენებლო ამწე; თხილი; აქლემი; კალია.

ᲤᲝᲙᲣᲡᲘᲡ ᲛᲘᲚᲛᲐ

ფოკუსის შემსრულებელი მაგიდიდან იღებს მომცრო ცილინდრს, საიდანაც ვაზაში გადმოყრის დრაეე-კანფეტებს, მერე მაყურებლებს აჩვენებს, რომ ცილინდრი ცარიელია. შემდეგ ისევ მაგიდასთან მიდის და ცილინდრიდან კვლავ გადმოყრის ვაზაში კანფეტებს ერთხელ, ორჯერ, სამჯერ...

რაშია ამ ფოკუსის საიდუმლოება?

ხელი მუყაოსაგან გაკეთე 20-25 სმ სიმაღლის და 8-10 სმ დიამეტრის ცილინდრი. ცილინდრის უნდა ჰქონდეს ფსკერი, რომელშიც ამოჭრილია 60°-იანი კუთხის სექტორი. იმავე მუყაოსაგან გაკეთე უფრო პატარა 3 სმ სიმაღლისა და 8,-10,1 სმ დიამეტრის მქონე ცილინდრიც, გადაგბირე იგი 6 სექტორად, რომლებშიც ჩაიყრება კანფეტები. ერთ სექტორს აქვს დიდი ცილინდრის ფსკერის ფერის მქონე თავსახურავი. ცილინდრები ერთმანეთში ჩასვი და შეიღებე ერთი და იმავე ფერით, რომ მაყურებელმა ერთმანეთისაგან ვერ გაარჩიოს.

ახლა შეგიძლია დაიწყო ფოკუსის ჩვენება. როცა მაყურებელს ცილინდრის ფსკერს აჩვენებ, იგი ყველას ცარიელი ეგონება — პატარა ცილინდრის თავსახურავი დიდი ცილინდრის ამოჭრილ სექტორშია ჩადგმული. პატარა ცილინდრი 60°-ით მოატრიალე — გაიხსნება ახალი სექტორი, შემდეგ კიდევ მოატრიალე, და ა. შ.

ინდექსი 76157

ნინო ზაუტაშვილი, 4 წლის.

ეროსი ბერეთი

ეკატერინე



გუგა არაგული, 8 წლის.